პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 პარასკევი 22 ივლისი № 169 (16909) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# დამზადების ახალი სისტემა

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის პროექტის მეთორმეტე მუხლში ვკითხულობთ, რომ „მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებსაც მათ სახელმწიფო და კოლმეურნეობანი აძლევენ კანონით დადგენილი წესით დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (კერძოდ, პირუტყვისა და ფრინველის შენახვისათვის), მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის...

და რაკი არსებობს საკარმიდამო მეურნეობა, მოსახლეობაში არის და კვლავაც იქნება სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტები. პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით უზრუნველყოფის დიდი რეზერვია პირადი დამხმარე მეურნეობა. ამ დიდი რეზერვის შესახებ სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე შესანიშნავად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა: „უნდა მოვიხსენოთ კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო რეზერვზე. სურსათის სახელმწიფო სასაქონლო რესურსების ფორმირების საფუძველი — ეს, უეჭველია, საზოგადოებრივი წარმოებაა. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სრულად გამოვიყენოთ პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობებიც.

ამ მუშაობის წარმატებას ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა“.

სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემის რეორგანიზაცია მოახდინა. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე აღინიშნა, „სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საკარმიდამო ნაკვეთებზე საჭიროა და კიდეც უნდა მოვაწესრიგოთ დამზადების კარგად დახვეწილი სისტემის მეშვეობით, საჭიროა და კიდეც უნდა მივცეთ სტიმული წარმოებასა და დამზადებას“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადება“. მასში მეპაიეთა უფლებებით შედიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანებები. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო წარმოებებს, რომლებიც მეპაიეთა უფლებებით გაერთიანებაში შედიან, გადაეცათ საზოგადოებრივ და საკარმიდამო მეურნეობებში მოწეული პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის ფუნქციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა მტკიცედ და გადაჭრით მოითხოვა, რომ ადგილებზე დამზადების სფეროს მუშაკები ძალიან ყურადღებით, უაღრესად გულმოდგინედ და გულისყურით უნდა შევარჩიოთ, მათი კანდიდატურები კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების საერთო კრებების, მთელი სოფლის მოსახლეობის სპეციალური განხილვის საგანი უნდა გახდეს, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ამ სფეროში, ისევე, როგორც ყველგან, პატიოსანი, ავტორიტეტიანი ადამიანები მუშაობდნენ, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა.

ამ მხრივ კარგად დაიწყეს მუშაობა მახარაძის, გორის, ზოგიერთი სხვა რაიონების დამზადების გაერთიანებებმა. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შრომისა და ნატანების კოლმეურნეობების გამგეობები მთლიანად ხელმძღვანელობენ მოსახლეობისაგან ხილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ციტრუსებისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვას და მათ მიწოდებას მომხმარებლებისათვის. მათი მუშაობის მოკლე ხნის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა დროულობა და მისი ცხოველმყოფელობა. ამ მხრივ მუშაობა კარგად შეაწყეს ბოლნისის რაიონის მეურნეობებმაც: საკავშირო ფონდში ათიათასობით ტონა კარტოფილი რომ გაიგზავნა, ამაში დიდი წვლილი დამზადების მუშაკებსაც მიუძღვით.

საკარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის გამრავლებისა და გასუქების ხელშემწყობი კარგი პირობები შექმნეს დუშეთის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, რომლებიც მშრომელებს ეხმარებიან პირუტყვის საკვებით, დასახეს წამახალისებელი ღონისძიებანი. ამ გზით რაიონის მშრომელებმა წლეულს ექვს თვეში გადამეტებით შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმები.

დამზადების ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება გაცილებით უკეთ მოაწყეს აბაშის, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გარდაბნის, ვანის და სხვა რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. სწორედ ამის გამოა, რომ რესპუბლიკაში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ხაქმე შარშანდელთან შედარებით ძირეულად უმჯობესდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალ სისტემაზე გადასვლის პირველი შედეგები ცხადყოფს, რომ საკარმიდამო ნაკვეთებს საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების შეუნელებელი ყურადღება სჭირდება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოსახლეობისაგან პროდუქტებს არა მარტო უნდა ყიდულობდნენ, არამედ პრაქტიკულ, საქმიან დახმარებას უწევდნენ მათ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, აგრონომიულ და ზოოვეტერინარულ მომსახურებაში. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა იზრუნონ სასუქებით, შხამქიმიკატებით, სანაშენე მოზარდეულით და სხვა საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

დამზადების ახალი სისტემის უპირატესობა ძველ წესთან შედარებით ისიც არის, რომ თუ წინათ თითოეულ კოლმეურნეს ინდივიდუალურად უნდა ეზრუნა პროდუქტების შორ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის, ახლა სოფლის მშრომელები ადგილზე, თავიანთ სოფელში აბარებენ საზოგადოებრივი მეურნეობის მიერ გამოყოფილ მიმღებს. ამით იზოგება დრო, მშრომელი ზედმეტი ჯაფისაგან თავისუფლდება. გარდა ამისა, ძველ წესთან შედარებით დამზადების ახალი წესი, ყოველგვარ უწესობას გამორიცხავს, რადგან მას კონტროლს ადგილზევე უწევენ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია, კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები.

სულ მალე დაიწყება ყურძნის, ციტრუსების, ხილის და სხვა პროდუქტების დამზადება. კარგად მოიქცნენ იმ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, რომლებმაც წამახალისებელი ღონისძიებანი დაუწესეს იმ მშრომელებს, ვინც მეტი რაოდენობის პროდუქტებს მიჰყიდის სახელმწიფოს. ყვარლის, აბაშის, სიღნაღის, ლაგოდეხის, თერჯოლისა და სხვა რაიონებმა საკარმიდამოდან სულ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტების მიყიდვისათვის დააწესა მსუბუქი ავტომანქანების ურიგოდ მიყიდვა. ამასთანავე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე აღინიშნა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა ექნებათ წაახალისონ სოფლის მშრომელები პროდუქტების წარმოებისათვის, სტიმული მისცენ მათ და ამასთანავე გავლენა მოახდინონ იმათზე, ვინც ცუდად მუშაობს, ვინც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულანტობს და უშრომელი შემოსავლით მდიდრდება.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობის ურთიერთობას საფუძვლად ნებაყოფლობის პრინციპები უნდა ედოს. ურთიერთხელსაყრელობა, ურთიერთდახმარება — აი რა არის ახლა მთავარი. ამ ურთიერთობას სოლიდური ხასიათი უნდა მივანიჭოთ. საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები უნდა ცდილობდნენ, რომ მშრომელებს ჰყავდეთ მაღალპროდუქტიული პირუტყვი, მაქსიმალურად იყენებდნენ საკარმიდამო ნაკვეთებს, რომ სოფლის მცხოვრებთ ჰყავდეთ ძროხა, ღორი, ფრინველი, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოჰყავდეთ უხვი მოსავალი.

ცხადია, ყოველ ახალ საქმეს პირველ ხანებში სიძნელეები ახლავს. სასიხარულოა, რომ ეს საქმე უკვე სწორ გზაზე დადგა და ახლა მთავარია გზადაგზა მუშაობაში შემჩნეული ხარვეზები და ნაკლოვანებები დროულად აღმოვფხვრათ, ყოველი ღონისძიებით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელს, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს, საქართველოს სოფლის მშრომელებმა დიდი გადამეტებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ვალდებულებები!

# საიუბილეო ვახტზე

## შარშანდელზე უკეთ

თბილისი. თვიდან თვემდე ზრდის შრომის ნაყოფიერებას კამვოლური დართვის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც შარშან ჩამორჩენილთა რიგებში იყო.

წლეულს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაებნენ, ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებით, პასუხისმგებლობის ამაღლებით წარმოების ყველა უბანზე, ყველა რგოლში მიეღწიათ ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის:

— წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა მ. ურუშაძემ, — დავალების გადამეტებით რეალიზებულია 580 ათასი მანეთის პროდუქცია, დამზადებულია 50 ტონით მეტი მზა ნართი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

## ერთი თვით ადრე

ჭიათურა. (საკ. კორ.). მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო მადნეულთა ქალაქის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. მის მიერ გამოშვებულ 150-მდე დასახელების სხვადასხვა ნაწარმსა და მოწყობილობას შორის საკმაო ხვედრითი წილი ფოლადისა და თუჯის სხმულებს უკავია. ისინი იგზავნება ნიკოპოლის, დაშქესანის, ტყიბულის, ტყვარჩელის სამთო საწარმოებში, რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგიულ ქარხნებში.

საწარმოს კოლექტივი დაძაბულად შრომობს საიუბილეო წელს. აქ წლის მეორე ნახევრის ანგარიშში უკვე აწარმოეს 90 ათასი მანეთის ნაწარმი და ივლისის პირველი ორი დეკადის დავალება 105 პროცენტით შეასრულეს.

კოლექტივს ახალი საპატიო დავალება აქვს შესასრულებელი. მან იკისრა წლიური დავალება ერთი თვით ადრე გაანაღდოს.

ო. ნიქაბაძე.

## დამკვრელური ტემპით

ცხაკაია. (საკ. კორ.). მეცხოველეობის კომბინირებული საკვების ქარხნის (დირექტორი ალ. კოკაია, პარტბიუროს მდივანი ვ. ლომია) კოლექტივის მშრომელებმა, რომლებიც წინასაოქტომბრო შრომით ვახტზე დგანან, ივლისში ივნისთან შედარებით მუშაობა გააორკეცეს. 12 დღეში დაამზადეს იმდენი პროდუქცია, რაც უნდა დაემზადებინათ 24 დღეში. ქარხნის კოლექტივმა 1 მილიონ 543 ათასი მანეთის ნაცვლად ნახევარ წელიწადში დაამზადა 1 მილიონ 723 ათასი მანეთის პროდუქცია, მეცხოველეებს მისცა 17 982 ტონა კომბინირებული საკვები, რაც 3.102 ტონით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

ცხაკაიელებმა, რომლებიც კომბინირებული საკვებით ამარაგებენ რამდენიმე რაიონის მეცხოველეებს, ერთსულოვნად გადაწყვიტეს წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

გ. მილიუტინი.

# ხუთწლედის ადამიანები



უკვე 22 წელია გრიგოლ კურუა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში მუშაობს ამწყობ ზეინკლად და სისტემატურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს. ოქტომბრამდე უპატაკა [illegible] წლის გეგმის შესრულება. მან გადიდებული ვალდებულებანი იკისრა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად, გადაწყვიტა მეათე ხუთწლედის ორი წლის დავალება სექტემბრის დამდეგისათვის შეასრულოს, გამოუშვას მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და თავისი პროფესია შეასწავლოს სამ ახალგაზრდა მუშას.

სურათზე: ამწყობი ზეინკალი გრიგოლ კურუა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში ვაზს ჩინებულად უვლიან და კარგ შედეგსაც იღებენ. შარშან 75 ცენტნერის ნაცვლად 56 სრულმოსავლიანი ჰექტარიდან საშუალოდ 101 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

ბრიგადა, რომელსაც გივი კენკიშვილი ხელმძღვანელობს, წარდგენილია სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

კოლმეურნეობის მოწინავე ვაზის ბრიგადამ გადაწყვიტა ხუთწლედის საიუბილეო წელი სარეკორდო მოსავლით აღნიშნოს — თითოეულ ჰექტარზე მიიღოს 140 ცენტნერი რქაწითელი. მოსავალს ჩინებული პირი უჩანს.

სურათზე: მევენახეთა ბრიგადირი გივი კენკიშვილი.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დროულად, უდანაკარგოდ!

## თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება და დამზადება რესპუბლიკაში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადების სამინისტროების 21 ივლისის ოპერატიული ცნობებით)

| რაიონები | ნათესი ჰექტრობით | მოთიბულია ჰექტარი | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ცენტნერობით) | მარცვლეულის დამზადება (ტონობით): გეგმა - დავალება | მარცვლეულის დამზადება (ტონობით): შესრულება |
|---|---|---|---|---|---|
| წითელწყარო | 26404 | 21400 | 25 | 30000 | 25050 |
| საგარეჯო | 14644 | 12218 | 15,2 | 5500 | 4347 |
| გარდაბანი | 11188 | 6669 | 19,1 | 3010 | 2890 |
| თეთრი წყარო | 10112 | 4084 | 18,1 | 3000 | 3275 |
| მარნეული | 7402 | 5239 | 24,2 | 8534 | 8627 |
| გორი | 7302 | 2005 | 25,3 | 5200 | 684 |
| ქარელი | 6524 | 2844 | 20 | 5500 | 1382 |
| ბოლნისი | 6504 | 4157 | 17,4 | 6500 | 2921 |
| ყვარელი | 6019 | 4668 | 15,0 | 5500 | 1409 |
| კასპი | 5983 | 2385 | 18,4 | 3500 | 490 |
| ახმეტა | 5509 | 5100 | 20,8 | 3000 | 905 |
| თელავი | 4507 | 3107 | 22,3 | 3500 | 1318 |
| ხაშური | 4220 | 1771 | 22,5 | 2300 | 745 |
| სამხ. ოსეთის ა. ო. | 8493 | 286 | 22 | 3700 | 466 |
| გურჯაანი | 3868 | 3737 | 22,4 | 3800 | 2275 |
| დუშეთი | 3833 | 458 | 16,2 | — | — |
| წყალტუბო | 3630 | 2666 | 8,8 | — | — |
| მცხეთა | 3140 | 1738 | 18,4 | 2000 | 140 |
| სამტრედია | 1268 | 1213 | 14 | 2090 | 178 |
| თერჯოლა | 1112 | 925 | 17 | — | — |
| წულუკიძე | 1011 | 1051 | 17,1 | 1000 | 512 |
| ჭიათურა | 780 | 189 | 10,4 | — | — |
| ზესტაფონი | 525 | 350 | 17 | — | — |
| ვანი | 315 | 233 | 18,8 | 790 | 326 |
| დმანისი | 5691 | 48 | 23 | 1583 | 62 |
| სულ რესპუბლიკაში | 209549 | 115529 | 20 | 150000 | 72534 |

ქალაქ ფოთის მშრომელთა სასარგებლო თაოსნობა

# ქალაქელი მებოსტნეები

წელს ნინოშვილის საუბნო საბჭოს მცხოვრებლებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს საკუთარი საბოსტნე ნაკვეთიდან დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილება ბოსტნეულით და ქალაქს სარეალიზაციოდ გადასცენ ბოსტნეულის გარკვეული რაოდენობა — 21.000 კილოგრამი კიტრი, 30.000 კილოგრამი პამიდორი, 2.500 კილოგრამი ლობიო, 5.000 კილოგრამი ბოლოკი, 1.000 კილოგრამი ქინძი და 5.000 კილოგრამი ხახვი, — თქვა გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ხაჯაიამ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჩაუდგნენ სათავეში მშრომელთა სასარგებლო თაოსნობას და მიღებულ იქნა ერთობლივი დადგენილება ქ. ფოთში მებოსტნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მოიწონეს და განაზოგადეს ნინოშვილის უბნის საუბნო საბჭოს ინიციატივა. შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გადასცეს საბოსტნედ გამოსაყენებელი ყამირი მიწის ნაკვეთები. შედგა საბოსტნედ გათვალისწინებული მიწების განაწილების გრაფიკი. 41 ორგანიზაციას 26,6 ჰექტარი ნაკვეთები გამოეყო. მიღებულ იქნა საჭირო ზომები, რომ ქალაქის მებოსტნეებს შეუქმნან მუშაობის ყველა პირობა. მებოსტნეობის განვითარებისათვის ზრუნვა მიჩნეულ იქნა ქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში განიხილეს მებოსტნეობის სიუხვის მიღების საქმეში მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობის საკითხი და დაიწყეს მისი პრაქტიკულად განხორციელება.

საბოსტნედ გამოყოფილი ნაკვეთები დროზე მომზადდა, მოიხნა, დაიფარცხა და აგროწესების დაცვით ბოსტნეულიც დაითესა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვალდებულება იკისრა დახმარება გაუწიოს ფოთელ მებოსტნეებს თესლით, მინერალური სასუქებით, ბოსტნეულის შესაწამლი შხამ-ქიმიკატებით, შესასხურებელი აპარატებით და სხვ. ახალბედა მებოსტნეებს აგრონომიული რჩევა-დარიგებაც გაუწიეს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოაწყო დეპუტატთა საუბნო საბჭოების, ქუჩის კომიტეტების მუშაობა იმისათვის, რომ ბოსტნეულის მიყიდვის ინდივიდუალური გეგმები მიეცეს თითოეულ მოსახლეს. ცალკეულმა უბნებმა იკისრეს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილება ბოსტნეულზე და ქალაქსაც მიაწოდონ პროდუქტების გარკვეული რაოდენობა.

ფოთვაჭრობამ, საზღვაო ვაჭრობამ და მეთევზეთა კოოპერატივის გამგეობამ ჩაატარეს მთელი რიგი სამუშაოები მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებებისაგან ბოსტნეულის ორგანიზებულად მიღებისათვის. ამასთან გატარდა ღონისძიებები იმათ წასახალისებლად, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს ბოსტნეულის სიუხვეში.

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, კოლხეთის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის, საკარანტინე მეურნეობის სპეციალისტები ბოსტნეულის მოვლა-მოყვანაში სისტემატურ დახმარებასა და კონსულტაციას უწევენ მოსახლეობას და საწარმო-დაწესებულებების მუშაკებს.

ფოთელების ასეთმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო. ახლა მებოსტნეები თავიანთი გარჯის ნაყოფს იმკიან. მოსახლეობისაგან სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 48.000 კილოგრამი კიტრი, 11.000 კილოგრამი კარტოფილი, 7.000 კილოგრამი ბოსტნეული, 8.000 კილოგრამი ხილი და 2.000 კილოგრამი სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანამ, საზღვაო სავაჭრო ნავსადგურმა, ტორფის ქარხანამ და სხვ.

ადრე ფოთელები ბოსტნეულის საყიდლად სხვადასხვა რაიონებში დადიოდნენ. ახლა ფოთის საკოლმეურნეო ბაზარს ამშვენებს წარწერა „მიირთვით ფოთური ბოსტნეული“. ერთი სიტყვით, ქალაქ ფოთში უკვე მკვიდრდება, მეტად სასარგებლო თაოსნობის ტრადიცია — „უზრუნველვყოთ ქალაქი საკუთარი წარმოების ბოსტნეულით“.

# კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ გერეკს
# კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჰენრიკ იაბლონსკის
# კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ პეტრე იაროშევიჩს

ძვირფასო ამხანაგებო!

ეროვნული დღესასწაულის — პოლონეთის აღორძინების 33 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად, მხურვალედ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მოძმე პოლონელ ხალხს.

სახალხო ხელისუფლების გამარჯვებამ უზრუნველყო პოლონეთში რევოლუციური გარდაქმნები და საძირკველი ჩაუყარა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელმაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად ისტორიულ წარმატებებს მიაღწია. დინამიკურად ვითარდება ეკონომიკა, ახალ მწვერვალებს მიაღწიეს მეცნიერებამ, ტექნიკამ და კულტურამ, არსებითად გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა, სულ უფრო სრულყოფილი ხდება სოციალისტური დემოკრატია. ამ მიღწევებმა, რომლებიც მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია, საშუალება მისცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობას წამოეყენებინა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, რომელიც ახლა ხორციელდება.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცადინეობას სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების განმტკიცების საქმეში. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველნაირად უწყობს ხელს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის განმტკიცებას, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის შესრულებაში. პოლონეთს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობამ ახალი შინაარსი შეიძინა. წარმატებით ვითარდება ჩვენი ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირი, ფართოვდება კულტურულ ღირებულებათა გაცვლა. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდ ურთიერთობას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მჭიდრო ურთიერთმოქმედება, რომელიც კომუნისტური იდეალებისა და მიზნების ერთობლიობას ეყრდნობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის წელს მხურვალედ და ძმურად მოგესალმებით თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, მთელ პოლონელ ხალხს, და ახალ წარმატებებს გისურვებთ სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

დაე მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა!

ლ. ბრეჟნევი. ა. კოსიგინი

# რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

20 ივლისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა რსფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს: ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, დ. თ. უსტინოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და რუსეთის ფედერაციის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

2. რსფსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნა.

3. რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ს. სოლომენცევმა.

სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხზე რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „რუსეთის სფსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ“. კომისიის თავმჯდომარეა დეპუტატი მ. ს. სოლომენცევი.

# საქართველოს სტუმრები

თბილისში მეგობრული ვიზიტით ჩამოსული შვეიცარიის შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრი ანდრე ედიგერი.

21 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მეგობრული საუბარი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ხაბეიშვილმა ანდრე ედიგერს გააცნო მიღწევები, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, ესაუბრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვაძე. (საქინფორმი).

21 ივლისი

# „პრავდის“ ფურცლებზე

„ხელოვნების კეთილშობილური თემა“ — ასე ეწოდება მოწინავე წერილს, რომელიც ხელოვანის მზარდ პასუხისმგებლობას ეძღვნება ყოველი მოვლენის გამო, რაც უდიამიწის ზურგზე ხდება.

„კაცობრიობის ბედზე დაფიქრებული საბჭოთა ხელოვანნი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ადამიანები უომოდ ცხოვრობდნენ, რათა განმტკიცდეს მშვიდობის საქმე და ადამიანს სწამდეს მომავლის.

მთელ ხალხთან ერთად მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ამაყობენ იმით, რომ ქვეყნად მშვიდობისათვის ლაშქრობას მეთაურობს ჩვენი ლენინური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში შემოქმედებითი ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში. იგი მხურვალედ იწონებს ამ ისტორიულ დოკუმენტს, სამართლიანად აფასებს მას როგორც მნიშვნელოვან ნიშანსვეტს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის, მშვიდობისათვის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისათვის, სოციალური პროგრესისათვის პლანეტის მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალური საქმის გამარჯვების გზაზე...

მშვიდობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის თემა განუყოფელია შრომის, სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივ ღირებულებათა დამკვიდრების თემისაგან. საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა — ეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, ხალხთა მეგობრობის, ომის საშიშროების თავიდან აცილების მტკიცე საძირკველია“ — ნათქვამია მოწინავე წერილში.

პირველ და მეორე გვერდებზე გაზეთი აქვეყნებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას ეძღვნება. ამავე საკითხს ეთმობა მთელი მესამე გვერდი. „მხოლოდ სინდისით“ — ასე ეწოდება მშრომელთა წერილების მიმოხილვას, რომელშიც გამოთქმულია მათი ერთსულოვნება — კიდევ უფრო განამტკიცონ შრომის დისციპლინა. კეთილსინდისიერების, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად მიიჩნევს „პრავდა“. გვერდზე კვლავ ნახავთ განყოფილებებს „შემომაქვს წინადადება“, „ჩაწერილია — უზრუნველყოფილია“; რუბრიკით „პირველი ლენინური დეკრეტების შემდეგ“ გამოქვეყნებულია ვრცელი სარედაქციო წერილი ჯანმრთელობის კერები მშრომელებისათვის“, რომელიც გვაცნობს, თუ რა გაკეთდა 60 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

ПРАВДА

# ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

> მოკავშირე რესპუბლიკა არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად.
>
> კონსტიტუციის პროექტიდან.

## წინადადებები

### დავნერგოთ სიახლეები

კვლევის შედეგები და წარმოებაში დასანერგი სიახლეები ახლა ისევე იგეგმება, როგორც ამა თუ იმ საწარმოს მიერ გამოსაშვები პროდუქცია და ისევე ექვემდებარება სახელმწიფოებრივ კონტროლს, როგორც საწარმოო გეგმის შესრულება.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიახლეთა დანერგვის სფეროში ჯერჯერობით კარგ გადაწყვეტილებას და დადგენილებებს, არც თუ იშვიათად, შესაბამისი საქმე არ ამშვენებს: არის გაჭიანურებისა და უპასუხისმგებლობის შემთხვევები. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია კონსტიტუციის პროექტის ოცდამეექვსე მუხლს „საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობისა და ცხოვრების სხვა სფეროებში". დაემატოს: ...„დანერგვისათვის მზადმყოფი სიახლეები შედის სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების განვითარების ყოველწლიურ გეგმებში და მათი შესრულება სახელმწიფო ორგანოების მკაცრ კონტროლს ექვემდებარება".

**დ. გიაშვილი,**
საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ღვინის მრეწველობის განყოფილების გამგე.

### სიტყვის უფლებით

კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ ზარალი, რომელიც მათ უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო დაწესებულებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, — კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში". მინდა ამ მუხლს დაემატოს: კანონით უნდა დაისაჯონ ის მოქალაქენი, რომლებიც უსაფუძვლო საჩივრებით დიდ ზიანს აყენებს ადამიანებს.

**ლ. ცირეკიძე,**
ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირითადი საწარმოს უფროსის მოადგილე.

# თანასწორუფლებიანი ძმური კავშირი

> მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი მდგომარეობა

### ზოგიერთი მოსაზრება კონსტიტუციის პროექტის გამო

**ახალი** კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა უკვე შევიდა მის სრულყოფილ სტადიაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის სულ უფრო მეტად გასაგები ხდება ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტის თითოეული მუხლის შთამბეჭდავი შინაარსი. კონსტიტუციის პროექტის ძირითადი პრინციპების შესწავლა და ათვისება საბჭოთა ხალხს გაუადვილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა-მეცნიერულმა მოხსენებამ, რომელიც მან გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1977 წლის 24 მაისს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ".

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტის შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობაც.

მრავალი ახალი პრობლემაა დაყენებული და გადაწყვეტილი კონსტიტუციის პროექტში. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად ჩვენ მიგვაჩნია ახალი კონსტიტუციის პროექტში განვითარებული პრინციპები მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1977 წლის 24 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ" გაკეთებულ მოხსენებაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სსრ კავშირის ფედერაციული წყობილების ძირითადმა თვისებებმა მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება. ამიტომ საჭირო არ არის რაიმე პრინციპული ცვლილებების შეტანა საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის ფორმებში".

ამრიგად, ჭეშმარიტად შესანიშნავი შეფასება მიიღო ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურისაგან საბჭოთა მრავალეროვანი ქვეყნის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმამ — საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ.

ახალი კონსტიტუციის პროექტში შენარჩუნებულია საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანების ნებაყოფლობისა და თანასწორობის ლენინური პრინციპები.

კონსტიტუციის პროექტის მთელი შინაარსი მიმართულია იმისკენ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია. ახალი კონსტიტუციის პროექტში კვლავ დარჩა მუხლი იმის შესახებ, რომ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ასევე საკანონმდებლო წესით არის პროექტში განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლება იმის შესახებ, რომ მან სრულიად დამოუკიდებლად ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

ახალი კონსტიტუციის პროექტში სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მსგავსად აღნიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

პროექტით მოკავშირე რესპუბლიკებს საკანონმდებლო წესით ეკუთვნით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში კი ასეთი პრინციპი გათვალისწინებული არ არის.

სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლში აღნიშნულია, რომ „მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღნიშნულ ფარგლებში". აღნიშნული მუხლის ასეთი სახით ფორმულირება ჩვენ არ მიგვაჩნია ზუსტად, რადგან სუვერენიტეტის შეზღუდვა საერთოდ არ არსებობს. სუვერენიტეტის ცნება თავის შინაარსში გულისხმობს მის უზღვრობას, შეუზღუდველობას. სუვერენიტეტის მატარებელი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. და ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნის ჩაურევლობაა. სუვერენიტეტი მთლიანი ცნებაა. შეზღუდული, გაყოფილი, შეკვეცილი და ნახევარი სუვერენიტეტი არ არსებობს.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებით მათი სუვერენიტეტი კი არ შეიზღუდა, არამედ ზოგიერთი საკითხების გადაჭრაში შეიზღუდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციები, უფლებამოსილებანი და ისიც მათივე თანხმობით. ახალი კონსტიტუციის პროექტში მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის შეზღუდვის საკითხი საერთოდ ამოღებულია და ერთი სიტყვაც არ არის ამის შესახებ ნათქვამი. პროექტის ეს სიახლე ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია. პროექტში აღნიშნულია არა სუვერენიტეტის შეზღუდვა, არამედ ის, თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, რა საკითხების გადაჭრა განეკუთვნება.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლება დაცულია იმითაც, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის მიუდებლად. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც შემდეგ უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად ძალაში რჩება 1936 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული ის პრინციპი, რომ მოკავშირე რესპუბლიკა თვითონ ადგენს თავის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სხვა საკითხებს. მოკავშირე რესპუბლიკებს კვლავ რჩებათ უფლება თავიანთ შემადგენლობაში შექმნან ახალი ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები და თავიანთი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს... ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა ორგანულად არის დაკავშირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა პალატის მუშაობასთან, რადგან ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები თავიანთ წარმომადგენლებს უშუალოდ გზავნიან დეპუტატების სახით ეროვნებათა პალატაში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სწორედ ამ ორგანოშია წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნებათა სპეციფიური ინტერესები.

ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთი შენიშვნა. ახალი კონსტიტუციის პროექტში არაფერი არის ნათქვამი ავტონომიური ოკრუგის შექმნასა და დამტკიცებაზე. ავტონომიური ოკრუგი 1936 წლის კონსტიტუციით ეროვნული ოკრუგის სახით არის წოდებული. ცხადია, რომ მისი შექმნა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში შედის და ამის შესახებ მათივე კონსტიტუციაში იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ ავტონომიური ოკრუგების შექმნასაც დაამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო.

ახალი კონსტიტუციის პროექტი კვლავინდებურად საკანონმდებლო წესით ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენობის იმ პრინციპს, რომ ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მოიწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიას. პროექტში ფიქსირებულია ისიც, რომ სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და რომ სსრ კავშირის კანონებს თანაბარი ძალა აქვთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრივი, ეროვნული და საზოგადოებრივი სპეციფიკურობის გამომხატველი კონსტიტუცია, რომელშიც საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სისტემა, იმ ორგანოებისა, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ თავიანთი რესპუბლიკის ხალხის ნებასა და ინტერესებს. მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა და ამა თუ იმ პირის მოქალაქედ მიღების უფლება. მას აქვს აგრეთვე თავისი სასამართლო და პროკურატურის ორგანოები.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთ ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოსცემენ ყველა სახის კანონებს. მათ აქვთ რეფერენდუმის ჩატარების უფლება ამა თუ იმ კანონის მისაღებად. მოკავშირე რესპუბლიკები როგორც სუვერენული სახელმწიფოები ამტკიცებენ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმას, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, აწესებენ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, გამოსაღებებს და არასაგადასახადო შემოსავალს. განაგებენ ბანკებს, ადგენენ მიწის, მისი წიაღის, ტყისა და წყლის სარგებლობის წესებს, იღებენ სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, შრომის, საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსებს, ახორციელებენ რესპუბლიკის სამართლის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდადებულ პირთა ამნისტიისა და პატიების უფლებას, ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას და სხვ.

ამრიგად, სსრ კავშირის შემადგენლობაში სწორედ მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკაა ის ძირითადი დასაყრდენი ძალა, რომლის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა წამყვანი დარგებისა და ობიექტებისადმი ხელმძღვანელობა.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შენარჩუნებული აქვთ რა თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამავე დროს ისინი ყოველმხრივ ზრუნავენ საკავშირო სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და სიძლიერისათვის. ამის გამო ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში ისინი ხელმძღვანელობენ საკავშირო სახელმწიფოს საწყისებით. ასე, მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის სწორად წარმართვის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკები ხელმძღვანელობენ საკავშირო სახელმწიფოს ზოგადი საწყისებით. ასეთი პრინციპი ხელს უწყობს აგრეთვე სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას. სწორედ ამ მიზნით არის, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესების უფლება მიკუთვნებული აქვს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ამიტომ არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი და სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფის ხაზით უმაღლესი კონტროლის უფლება მიკუთვნებული აქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

ახალი კონსტიტუციის პროექტი არ ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკებში სამხედრო ნაწილების შექმნას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის სავსებით სწორი გადაწყვეტილება, რადგან თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობისა და სამხედრო ატომური ტექნიკის პირობებში, ერთიანი და მონოლითური მტკიცე დისციპლინის მქონე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ხელოვნური დანაწევრება მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ცალკეული სამხედრო ფორმირებად არ იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება.

და, ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც გვსურს გამოვთქვათ ჩვენი აზრი. ეს არის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების დამტკიცების საკითხი იმ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც მოცემული ავტონომიური რესპუბლიკა შედის. 1936 წლის კონსტიტუციის მე-60 მუხლის „ბ" პუნქტი ითვალისწინებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკა ამტკიცებს მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. ახალი კონსტიტუციის პროექტში კი ამის შესახებ არაფერი არის ნათქვამი. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ახალი კონსტიტუციის მიღებისას ეს გათვალისწინებული იქნება.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულ ეროვნული მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი უდავოდ ღირსშესანიშნავი ძირითადი კანონია საბჭოთა სამშობლოს ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელიც ამჟამად ჩვენი მშრომელი მასების დიდი აღფრთოვანებისა და სამეურნეო წარმატებების ვითარებაში მიმდინარეობს, იქნება ჩვენს პლანეტაზე არსებული პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გრანდიოზული მიღწევების შთამბეჭდავი დათვალიერება, სოციალისტური დემოკრატიის დიდი ზეიმი.

**ვ. ფარქოსაძე,**
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

# მსოფლიოს ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის

**ნიუ-იორკი.** (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დღეს ერთსულოვნად მისცა რეკომენდაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მიიღოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

უშიშროების საბჭოს წევრები — სოციალისტური და მოუმხრობელი სახელმწიფოების, აგრეთვე მთელი რიგი დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები გულთბილად მიესალმნენ უშიშროების საბჭოს სხდომათა დარბაზში მყოფ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ საბჭოს სამართლიანი გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების ამოცანებს. უშიშროების საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას არაერთგზის ხაზგასმით აღინიშნა, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღება ხელს შეუწყობს ამ მსოფლიო ორგანიზაციის უნივერსალურობის პრინციპის განმტკიცებას. ბევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ვიეტნამელი ხალხი იყო, არის და იქნება უშიშროების უზრუნველყოფის ერთგული ქომაგი და თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მაღალი მიზნებისა და პრინციპების განხორციელებაში.

## ინდოეთის ახალი პრეზიდენტი

**დელი, 21 ივლისი.** (საკდესი). დღეს კენჭისყრის პროცედურის გაუვლელად ნილამ სანჯივა რედი ოფიციალურად გამოაცხადეს ინდოეთის ახალ პრეზიდენტად როგორც ერთადერთი კანდიდატი, რომელიც ამრჩევთა კოლეგიამ დაამტკიცა.

ნ. სანჯივა რედის კანდიდატურა ერთად დაასახელეს მმართველმა ჯანატა პარტიამ, უდიდესმა ოპოზიციურმა პარტიამ — ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, ინდოეთის კომპარტიამ და სხვა პარტიებმა.

კოლეგიის წარმომადგენელმა ავტარ სინგჰ რიქჰიმ, რომელმაც ნ. სანჯივა რედი პრეზიდენტად გამოაცხადა, თქვა, რომ ყველა სხვა კანდიდატურა უარყვეს, რადგან ისინი მთლიანად ვერ აკმაყოფილებდნენ პრეზიდენტის არჩევნების კანონის მოთხოვნებს.

ინდოეთის მეექვსე პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია 25 ივლისისათვის არის დანიშნული.

ნილამ სანჯივა რედი 1913 წლის 19 მაისს დაიბადა ანდჰრა-პრადეშის შტატის სოფელ ილურუში, შეძლებული გლეხის ოჯახში. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში მას სდევნიდნენ კოლონიური ხელისუფალნი. სხვადასხვა ხელმძღვანელი პოსტები ეკავა ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავისი შტატის ორგანიზაციაში. 1959 წლიდან ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე გახდა. ეკავა მინისტრის პოსტები, იყო პარლამენტის სახალხო პალატის სპიკერი. 1969 წელს ინდოეთის ეროვნული კონგრესიდან გასვლის შემდეგ იგი გახდა ამ პარტიას ჩამოშორებული ნაწილის—კონგრესის ანდჰრა-პრადეშის შტატის ორგანიზაციის ლიდერი. მას შემდეგ, რაც მარტის საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა ჯანატა პარტიამ, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო კონგრესის ორგანიზაცია, სანჯივა რედი სახალხო პალატაში აირჩიეს და კვლავ გახდა მისი სპიკერი. როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, იგი წინა კვირაში გადადგა სპიკერის პოსტიდან.

## 22 ივლისი პოლონეთის აღორძინების დღეა



**ს**ახალხო პოლონეთის მთავარი სათბობის საკუჭნაო რიბნიკის ქვანახშირის აუზი, რომელიც შვიდ მილიარდ ტონაზე მეტ საკოქსავ ქვანახშირს შეიცავს, ერთ-ერთი უმდიდრესია ევროპაში. სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ამ მხარეში ბევრი დიდადმექანიზებული შახტი შეიქმნა. „როვის" — ასე უწოდებენ პოლონეთში რიბნიკის ქვანახშირის აუზს — შემდგომი გაფართოება გრძელდება. სურათზე ხედავთ შახტის „ზოფუვკას" ობიექტებს, რომლებიც 70-იან წლებში აშენდა.

ცაგ-საკდესის ფოტო.

## მხარს უჭერენ აგრესორს

**ვაშინგტონი. 20 ივლისი.** (საკდესი). აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის პირველი შეხვედრა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან მ. ბეგინთან.

თეთრი სახლის პრეს-მდივანი ჯ. პაუელი იტყობინება, რომ შეხვედრის დროს ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა განიხილეს ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების იდეები ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ძირითადი მომენტების გამო, მათ შორის საზღვრების, ისრაელისა და არაბული ქვეყნების ზავის ხასიათის საკითხები, პალესტინის პრობლემა. როგორც პრესა იტყობინება, ტელ-ავივის შეხედულებები ამ საკითხებზე ჩამოყალიბებულია ბეგინის მიერ ვაშინგტონში ჩამოტანილი ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების გეგმაში, რომლის შესაბამისად ტელ-ავივი ინარჩუნებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებს, კატეგორიულ უარს აცხადებს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ და მოითხოვს ისრაელისათვის ამერიკის დახმარების მკვეთრად გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ასეთი აშკარად ექსპანსიონისტური და აგრესიული პოზიცია არაერთხელ დაუგმიათ არაბულ ქვეყნებს, როგორც ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების ხელისშემშლელი ფაქტორი, თეთრი სახლის წარმომადგენელმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ისრაელის წინადადებანი „განხილვის ღირსია".

## მდგომარეობა ლიბანში

**ბეირუთი. 20 ივლისი.** (საკდესი). ლიბანის პრეზიდენტი ი. სარკისი შეხვდა პალესტინის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სალაჰ ხალაფი. როგორც ბეირუთის პრესა აღნიშნავს, შეხვედრაზე, რომელსაც აგრეთვე დაესწრო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ს. ჰოსი, მხარეებმა განიხილეს ლიბანში, და კერძოდ, ქვეყნის სამხრეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის გადაუდებელი ღონისძიებანი, აგრეთვე კაიროს იმ შეთანხმების შესრულების გზები, რომელიც აწესრიგებს ლიბან-პალესტინის ურთიერთობას.

პრემიერ-მინისტრმა ს. ჰოსმა ამ შეხვედრას ნაყოფიერი და სასარგებლო უწოდა. პალესტინის დელეგაციის მეთაურმა ს. ხალაფმა ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკების შედეგები შეესაბამება ლიბანელი და პალესტინელი ხალხების ინტერესებს.

# მუდამ ხალხთან, პარტიასთან ერთად

### გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" 40 წლისაა

**სოხუმი, 21 ივლისი.** („კომუნისტის" საკ. კორ.). გუშინ მკითხველმა მიიღო გაზეთ **„საბჭოთა აფხაზეთის"** საიუბილეო, მეათიათასე ნომერი.

განვლილი ორმოცი წლის მანძილზე „საბჭოთა აფხაზეთი" სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევების დაუცხრომელ პროპაგანდას ეწეოდა. მის ფურცლებს შემოუნახავთ საბჭოთა ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის ცხელი სუნთქვა, ომისშემდგომი წლების უმაგალითო შრომითი აღმავლობის მეტყველი ციფრები და ფაქტები, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების დასტური. ვფურცლავთ გაზეთის გადაყვითლებულ ნომრებს და მრავალი სტატია, ნარკვევი, მოთხრობა, ლექსების ციკლი იქცევს ყურადღებას. გაზეთის ათიათასი ცოცხალი ნომერი მიიღეს მკითხველებმა, ათიათასი დღის მატიანე შექმნა მისმა კოლექტივმა და ყოველდღე, როცა ნომერს მკითხველი იღებდა, მის ფურცლებზე კითხულობდა საბჭოთა აფხაზეთის, საქართველოს, მთელი საბჭოეთის ისტორიას, ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის ისტორიას. და რაოდენ სიმბოლურია, რომ გაზეთის ათიათასე ნომრის გამოსვლა სწორედ ამ დღეებს, ამ ღირსსახსოვარ მოვლენებს დაემთხვა, რომლებმაც შექმნეს და განსაზღვრეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ღვევანდელობა და გვიჩვენეს მათი მომავალი კეთილდღეობის ახალი, ფართო გზები.

დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად განიხილავს და იწონებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, როცა საბჭოთა საქართველოს მშრომელები იმკიან ბოლო ხუთწლედის კეთილ მოსავალს, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციის კოლექტივის მართალი სიტყვა ახლებურად ჟღერს, ახალი ძალით გაისმის.

დიდია გაზეთის დამსახურება ქართველი და აფხაზი ხალხების, საბჭოეთის ხალხების ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში. ჩვენი პერიოდული პრესის სხვა ორგანოებთან ერთად „საბჭოთა აფხაზეთი" იყო, არის და იქნება ჩვენი ძმობის ნამდვილი მედროშე, ჩვენი ლენინური პარტიის ნათელი იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი.

გუშინ სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" მეათიათასე ნომრის გამოსვლისა და გაზეთის დაარსების მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ იყვნენ აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, გაზეთის მკითხველები, თბილისიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ქუთაისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩასული სტუმრები...

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ბ. ბარციცმა. საზეიმო სხდომამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

გაზეთის მიერ განვლილ საკვლევ გზაზე ილაპარაკა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორის მოადგილემ გ. წირღვავამ.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვლ. ავიძბა, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ზ. ავიძბა, სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი მუშკორი ა. კუპრეიშვილი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. თარბა, გაზეთ „სოვეტსკაია აფხაზიის" რედაქტორი გ. გოლუბევი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი ნ. მშველიძე, გაზეთ „აფსნი ყაფშის" რედაქტორის მოადგილე ბ. ტუჯბა, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი შ. ქურიძე, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორის მოადგილე ო. ესიაშვილი, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" ყოფილი რედაქტორი, ამჟამად ალმანახ „კრიტიკის" რედაქტორი, პროფესორი გ. მერკვილაძე, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ფილია, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი დ. გოგობერიშვილი და სხვები.

საიუბილეო სხდომას ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ტ. ლორთქიფანიძე და თ. ფილიპოვა.

## სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

**მეჩახტეთა** ქალაქ ტყიბულში სასკოლო მშენებლობა ფართოდ გაიშალა. ზაფხული არ გავა, ქალაქში ან ზონის სოფელში ახალი სკოლა არ აშენდეს. წლეულს აქ ერთდროულად 8-წლიანი სკოლის ორ შენობას ჩაეყარა საფუძველი. ერთს — დაბაძველში, მეორეს — მუხურაში. ორივე მათგანის აშენება—„საქშახტმშენის" ტრესტის ტყიბულის სამშენებლო სამმართველოს ჰქონდა დაკისრებული. პირველი ობიექტი გარდამავალი იყო, მაგრამ სამშენებლო სამმართველოს, მშრომელების, თვით მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მეცადინეობით სულ მოკლე ხანში წამოიმართა ლამაზი, ორსართულიანი სკოლის შენობა ფართო და ნათელი საკლასო ოთახებით, კლას-ლაბორატორიებით, საცურაო აუზით; სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა.

ამ დღეებში სახელმწიფო კომისიამ მშენებელთა ნახელავი კარგზე შეაფასა და საექსპლოატაციოდ მიიღო. პირველ სექტემბერს ახალ სკოლაში პირველი ზარი დაირეკება.

ახლა სამშენებლო სამმართველომ მშენებელთა მთელი ძალები მუხურის სკოლის მშენებლობაზე გადაიყვანა. გაძლიერდა ყველა ბრიგადა და რგოლი.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რემონტისათვის წლეულს გამოყოფილია 64 ათასი მანეთი. კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 8 საშუალო, ერთი 8-წლიანი და ერთი დაწყებითი სკოლები, მნიშვნელოვანი თანხების ათვისებაა გათვალისწინებული პიონერთა და მოსწავლეთა სახლის, სამი საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტოდ. ეს სამუშაო დავალებული აქვს ქალაქის სარემონტო სამშენებლო უბნის (უფროსი ე. აბუთიძე) კოლექტივს. მშენებლებს ბევრი რამ უშლის ხელს. პირველ რიგში შეიმჩნევა სამშენებლო მასალების მწვავე ნაკლებობა. რაც აქვთ, ისიც უვარგისია. ეს ცუდ გავლენას ახდენს მშენებლობის ხარისხზე. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სპორტდარბაზში პარკეტის იატაკი აყარეს და ფიცრისას აგებენ, მაგრამ უხარისხოდ. რადგან ფიცრები ნედლი იყო, იატაკი ალაგ-ალაგ ირყევა კიდეც.

მეოთხე საშუალო სკოლაში ხარჯთაღრიცხვით 7 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაო უნდა შესრულდეს. ყველაზე მეტად გაჭირდა თუნუქის უვარგისი სახურავის შეცვლა. მშენებლებმა სკოლის სახურავის ერთი მესამედი შეცვალეს, დანარჩენზე არავინ ფიქრობს, თუნუქი არც დამკვეთს აქვს და არც მოიჯარადრეს. შეფიც — სტალინის სახელობის შახტი (უფროსი დ. ცირეკიძე) — არ ეხმარება მშენებლებს, თუმცა ამ სკოლაში შახტის ბაზაზე შექმნილი საღამოს სწავლების მუშა ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეები სწავლობენ.

მშენებლებს კიბის მოაჯიებზე შესაცვლელი ფილები არა აქვთ. არც ელგაყვანილობის მასრებია.

სკოლის ეზოში ჩვენი მისვლის დღეს სამი მშენებელი დაფუსფუსებდა, ჩასასხმელია 80 კუბური მეტრი ბეტონი, მექანიზმი კი არა აქვთ. სამუშაო ნიჩბებით სრულდება. დრო კი მიდის, საქმე ყოვნდება. ასე თუ გაგრძელდა, ბეტონის კედლის ამოყვანას მშენებლები პირველი სექტემბრისათვისაც ვერ მოასწრებენ. საქმეს უშველის ერთი მარტივი ბეტონსარევი, მაგრამ უბანს ასეთი რამ არა აქვს.

რუსული საშუალო სკოლის შენობას გადაუდებელი რემონტი ესაჭიროება. აქ 10 ათას მანეთზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებია შესასრულებელი. მთლიანად შესაცვლელია ელექტროგაყვანილობა. სკოლის კედლები როგორც შიგნით, ისე გარეთ შესაბათქაშებელია. მთელი სამსართულიანი სკოლის ოთახები და დერეფნები უნდა შეიღებოს, მშენებლებმა მოსვლა დააგვიანეს — ივლისის პირველ დღეებში გამოჩნდნენ. ჩვენი მისვლის მომენტში მხოლოდ 4 ელექტრომონტიორი და სამიოდე მებათქაშე მუშაობდა. მღებავები არ ჩანდნენ.

შესაცვლელია ცენტრალური გათბობის ქსელის ლითონის მილები და რადიატორები, მაგრამ აქ ასეთი მილები და რადიატორები საჭირო რაოდენობით არ გააჩნიათ, არც კვალიფიციური მემონტაჟე-სპეციალისტები ჰყავთ. ეს კი სხვა სამშენებლო სამუშაოებს აყოვნებს.

სკოლის სპორტდარბაზი უხარისხოდ გაარემონტეს ამ სამი წლის წინათ. თურმე დავიწყებიათ სავენტილაციო არხების დატანება, რის გამოც პარკეტის იატაკი დალპა და გაფუჭდა. ამ სამუშაოსათვის აქ ჯერჯერობით ხელი არავის უხლია. საქმის დაჩქარებას კომპლექსური ბრიგადების გაძლიერება, ორ ცვლად მუშაობა თუ უშველის.

უარესად არის საქმე ორპირის საშუალო სკოლაში. კაპიტალური რემონტის მთელი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 60 ათასამდე მანეთს აღწევს. შარშან საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ აქ 22 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, წლეულს დაწყებული რემონტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, „გეგმაში არა გვაქვსო". აქ სამშენებლო მასალების ნაკლებობაა. ინერტული მასალა ჯერაც არ შეუზიდავთ, არ ჩანან სამშენებლო მექანიზმები და მშენებლები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ სამშენებლო-სარემონტო უბანს, რომელსაც სკოლების კაპიტალური შეკეთება აქვს მინდობილი, დახმარება სჭირდება. ეს კი დაყოვნებას ვერ მოითმენს.

## რატომ ფერხდება რემონტი

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# [illegible] მოხრა აბაშაში

მრგვალი მაგიდის წევრები საუბარს განაგრძობენ...

**სოსო კარტოზია**

**ცხაკაიას რაიაღმასკომის თავმჯდომარე**

„კვარაცხელიას ჯიშის საქონელი სწრაფად იზრდება და კარგად სუქდება. სამწლიანი მოზვერი 400 კილოგრამამდე იწონის. კაცი ნუ იტყვის, რომ სახორცედ უფრო იაფი და ხელსაყრელი საქონელი სადმე მოიძებნოს! სამწუხაროდ, უყურადღებობის, დაუდევრობისა და ყალბი შეხედულების გამო კვარაცხელიას საქონელი თანდათან გადაშენდა, გადაგვარდა, და მხოლოდ აქა-იქ შემორჩა მისი ჯოგის ნაჯიშარი და ნაშალი“.

**გივი ყუფარაძე**

**მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს უფროსი**

„კვარაცხელიას საქონელმა ისეთი ხვავი და ბარაქა არ იცის, როგორც შვიცის, შავჭრელის ან კიდევ ველის წითელი ჯიშის პირუტყვმა. თანაც კვარაცხელიას ჯიშის საქონელს დიდი სარბიელი უნდა, რომ ზაფხულ-ზაფხულ მთასა და ბარში იმოძრაოს...“

**კოლია ებრალიძე**

**აკეთის ფერმის გამგე**

„სამაგიეროდ, კვარაცხელიას საქონელს არც სასახლეები სჭირდება და არც ნაირ-ნაირი ნამცხვარი და ხაჭაპური. აგერ რიონის ჭალაში აკეთის ფერმას ერთი პატარა ტყე აკრავს. ამ ტყეში ახლა 120 სული მშრალი პირუტყვი დამდის. ერთი მანეთი არ მიჯდება ამ პირუტყვის შენახვა. ეს არის უფასო ხორცი, ნამდვილად უფასო, ოღონდ სადმე ცოტა ჭალა-ტყე იყოს და ცოტა მთა-გორი, ჩვენში კი ამგვარ ადგილებს რა გამოლევს! კოლხეთის დაბლობი, ასხის, კინჩხა-გორდის, ლებარდესა და უჩაშონას საზაფხულო საძოვრები, აჭარა-ახალციხის მთიანეთის ფერდობები...

გარედან მოყვანილი საქონელი კი ძნელად ეგუება უცხო გარემოს. დეკეულმა დაჰკარგა ჯიშის ზნე და თვისება“.

**შოთა თავდიშვილი**

**ლანჩხუთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსი**

„სხვა სიკეთესთან ერთად კვარაცხელიას ხარ-ძროხის მოშენება დასავლეთ საქართველოს ტყეებსაც უშველის და შეინახავს. ლანჩხუთიდან ფოთამდე გადაჭიმულია დიდი ტყე-ტევრი, ათი ათასი ჰექტარი მაინც იქნება... ახლა ამ ტყეს გაჩეხა-გაჩეხას უპირებენ. ეგ რომ მოხდეს, ქარი ფოთს ნამდვილად ზღვაში ჩაიტანს, რიონი წალეკავს კოლხეთის ჭალებს, ნარგავ-ნათესებს... თუმცა იგი არც ახლა აკლებს ხელს აქაურობას, სადაც ტყე უკვე გაიჩეხა და ზინაქარს სანავარდო მიეცა... აგვისტოს დამლევს რიონის გაღმა-გამოღმა ჭალებს გრიგალი ქარი რომ გადაუვლის და მომწიფებულ სიმინდს ერთიანად წააქცევს, ეგეც ამ უტყეობისა და მოღიავებულ ნაპირ-კალაპოტის ბრალია“.

**ელპიტე არველაძე**

**სახბორე ფერმის გამგე**

„კაცმა არ იცის, როდის ან რატომ გადაწყვიტეს, რომ ეს ტყე გაიჩეხოს! და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როცა ყოველდღე პირზე გვაკერია, ყველა კაცმა თავისი ხე უნდა დარგოს და გაახაროსო. დარგულსა და გახარებულს კი ვანადგურებთ სხვადასხვა „მეცნიერული“ მოსაზრებით! ცოტა უცნაური კია ეს ამბავი!“

**ევტიხი თურქია**

**აბაშელი მწყემსი**

„გარედან შემოყვანილი ძროხა ჩვენში ყველგან ვერ ივარგებს. კვარაცხელიას საქონელი სწორედ ამგვარ ადგილ-უბანში უნდა მოშენდეს იმ იშვიათი თვისების გამო, რომ იგი ტყეშიაც კარგად არის და ბოსელსაც კარგად ეგუება. კვარაცხელიას ძროხისა და შვიცის ნაჯვარი დეკეული საუკეთესო მეწველი პირუტყვი დადგება. რძის სიმსუქნე — კვარაცხელიას ძროხისა გამოჰყვება ნაჯვარს, ხოლო ტანის სიდიდე — შვიცისა. ეს კი პატარა ამბავი არ არის. კვარაცხელიას ძროხის რძე განთქმულია თავისი ცხიმითა და ერბოთი, ამ მხრივ იმას ვერ შეედრება ვერცერთი სხვა ჯიშის ძროხა“.

**გივი ყიფიანი**

**სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე**

„ჩვენი ალპური საძოვრების — აჭარა-ახალციხის, ბორჯომის, სამეგრელოსა და აფხაზეთის, მთა-თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის პატრონები, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ გარედან შემოყვანილი ძროხის შემყურენი არ უნდა ვიყოთ! არამარტო კვარაცხელიას ჯიშის საქონელს, ჩვენ უნდა მივხედოთ ხევსურულ ძროხასაც. საუკუნეებში გამოვლილი და საქართველოს მთიანეთში ნაშობ-ნაზარდი საქონელი უნდა მოშენდეს და მომრავლდეს. ექვსნი იყვნენ ძმები კვარაცხელიები, ათასი სული ხარ-ძროხა ჰყავდათ, მწყემსებიც თვითონ იყვნენ, მწველავებიცა და მომვლელ-მკურნალებიც. ახლა კი ერთ ფერმას, სადაც ასი თუ ასოცი სული პირუტყვი დგას, ოცი-ოცდახუთი კაცი სჭირდება მომვლელად, თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ფერმებში თითქმის ყველა დიდი სამუშაო, — სასმელ-საკვების მიწოდება, დაგვა-დასუფთავება, საქონლის დაბმა და აშვება ჰკვიან მექანიზმებს ჩააბარეს. ხოლო ბევრგან ძროხებს უკვე მანქანები წველიან. და მაინც ბევრი მუშახელი ტრიალებს ფერმაში. ამიტომ რა გასაკვირია, რომ რძე და ხორცი მამასისხლად დაგვიჯდეს! ამას გარდა, გარედან შემოყვანილ ძროხას დიდი პატივი და მოვლა-ფერება სჭირდება. კვირაში ერთხელ მინდორში სასეირნოდ რომ გამოიყვან, გული გიკანკალებს, ჰაერმა არ დაცადოს, არ გაცივდეს, რამე ავადმყოფობა არ შეეყაროს, ჩვენებურმა ბალახმა არ აწყინოს. კვარაცხელიას ძროხა კი ამ ხეტიალში იბადებოდა და იზრდებოდა, ღონეს იკრებდა და ისე მოივლიდა ჩვენი მთიანეთის ღრანტეებსა და ხევებს, ჩლიქიც არ წამოსტკივდებოდა. ძროხას რომ თავი დავანებოთ, მეჯოგე კაცი დრო და დრო ადგილსამყოფელს რომ იცვლიდა, ესეც რარიგ ახალისებდა კაცის ცხოვრებას! ძალ-ღონეს მატებდა, შრომას აყვარებდა... რასაც კვარაცხელიები წინათ აკეთებდნენ, — ხბოს რომ არ მოსწყვეტდნენ დედის ჯიქანს, — ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკანონდა, როგორც თანამედროვე, ეგრეთწოდებული პირუტყვის ნამატის გამოზრდის საუკეთესო საშუალება.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კვარაცხელიას ხარ-ძროხა, — ეს არის ყოველმხრივ სრულყოფილი, ნანატრი პირუტყვი“.

**გურამ მგელაძე**

**აბაშის რაიკომის პირველი მდივანი**

„თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, ოღონდ ბოლო მოეღოს ამ გაუთავებელ უნაყოფო სინჯვა-გამოცდას და კოლხეთის ბუნებას თავისი ძირი დაუბრუნდეს!“

**ბესარიონ ჭანტურია**

**ეწერის კოლმეურნეობის ფერმის გამგე**

„მინდორში ერთი პატარა ჯარგვალი იდგა, სადაც მეჯოგე კვარაცხელია ხანდახან ღამეს ათევდა: გათენებისას შედგებოდა მწვანე ბექობზე, ჩაჰბერავდა თავის ყვითელ ბუკს და ატყდებოდა ჭალა-ბუჩქნარში ზმუილი და შხორთოლი. გამოეფინებოდა ჯოგი ზინდიან მინდორზე, ერთი კი მოეჩვენებოდა თავის ბატონს და ისევ ბუჩქნარს შეერეოდა. ნამეტანი ჭკვიანი ძროხა იყო, იცოდა როდის რა ბალახი მოდიოდა, სად მოდიოდა და შენი ხელის მოკიდება და მიყვან-მოყვანა აღარ სჭირდებოდა.

ძველი ხალხისაგან გამიგონია, მსოფლიო წარღვნა რომ გათავდა და ნოე კიდობნიდან გადმოვიდა, თავისი ძროხები კვარაცხელიების ულუპაპას ჩააბარა თურმე და უთხრა:

— თუ კაცი ხარ, მოაშენე და მოამრავლე, თორემ ადამიანს რძე და ყველი დაეკარგებაო! ასე ყოფილა, ბატონო, და რა ვქნა!

კიდევ კარგახანს შეიძლება ამ საუბრის გაგრძელება, მაგრამ ჩვენი მრგვალი მაგიდის წევრებმა თავისი სათქმელი და საფიქრალი უკვე გაგვიზიარეს, და მეც მკითხველს თავს არ შევაწყენ ენამრავლობით.

აბაშაში ყოფნის დროს მე არაერთხელ შევხვდი და ვესაუბრე ამ ჩვენი მრგვალი მაგიდის წევრებს და მათი გულწრფელი ნაუბარი ქაღალდზე გადავიტანე, რათა სიტყვა იგი საქმედ გაცხადებულიყო.

კოლხეთის მიწა-წყალს უნდა დაუბრუნდეს თავისი დაკარგული მარჩენალი.

## XII.

დახვავდა სიმინდი აბაშაში. შარშან აბაშელებმა ყველაზე მეტი სიმინდი მოიწიეს საქართველოში. გაძღა კაცის თვალი, მოშორდა სადარდელი მიწის მუშას, მაგრამ ეს მაინც **თოხის გამარჯვება იყო.**

იყო ტრაქტორი, იყო სათესი მანქანა, იყო კომბაინი, მაგრამ მამა-პაპურ თოხს ისევ დიდი ადგილი ეჭირა სიმინდის ცხოვრებაში.

ყანის ბედს მაინც კაცის ხელი განაგებდა. მარგვლა, მორწყვა, ტაროს მოტეხა და ჩალის მოჭრა, — ამას ყველაფერს იმდენი მუშახელი უნდოდა, რომ სხვა მრავალი საქმე მიუხედავი რჩებოდა. მეტადრე აბაშის მიწა-წყალზე, სადაც შემოსული ყანა ერთი მიძალებით თუ არ მოტეხე და დააბინავე, მერე შეიძლება გოდორი სიმინდი ვერ გამოიტანო ლაფადქცეული ჭალიდან.

აბაშის ქარ-წვიმამ ხუმრობა არ იცის; თუ ერთი მოიხსნა ზეცამ პირი, მისი გაჩერება არ იქნება, წვიმს, გადაუღებლად, წვიმს დღე და ღამე...

მერე ამ წყალში დამბალ ყანას ზინა-ქარი დააცხრება და მიწასთან გაასწორებს.

რამდენი ასეთი მწარე შემოდგომა ახსოვს აბაშას.

თოხმა წაართვა მუშახელი მეცხოველეობას, მებოსტნეობას, ეთერზეთების მეურნეობას და, თუმცა ბევრი აბაშელი კაცი ისევ დაუბრუნდა მიტოვებულ კერას, რაიკომს ერთი მწყემსი და ერთი მებახჩე თავის წონა ოქროდ ულირდა.

დაიწყო ძიების, ცდების, დაძაბული ფიქრისა და მცოდნე ადამიანებთან შეხვედრა-საუბრების მოუსვენარი დღეები.

სიმინდი თოხის გარეშე!

კაცის ხელის გარეშე!

და ისიც სად? აბაშის ჭალებში, სადაც ერთხელ ნათოხარი ბალახი ისე სწრაფად ამოიყრება — კვალის გატანას ვერ მოასწრებ. მერედა, რა ღონიერია კოლხეთის ბალახი! ყანას თუ პირველი თოხი დაუგვიანე, სიმინდს აასწრებს და თავზე გადაუვლის.

ტყუილად კი არ მოსთქვამს ერთი მეგრული ლექსი: „არც შენი ლომი მინდა, არც შენი ლობიო, ოღონდ ამ თოხს გადამარჩინეო“.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

მახსოვს, როგორ ეხალისებოდა ბიძაჩემს გუთანზე მოკიდება, როგორ უხაროდა ცელის ნავარდი წელამდე აყრილ ბალახში, და როგორ ესიკვდილეობდა სათოხარში წასვლა.

არც გუთანი, არც ცელი და ნამგალი, არც ბარი და ფიწალი ისე არ გამოაცლიდა არაქათს მიწის მუშას, როგორც თოხი მოაქცევდა გაგანია სიცხეში გამდგარ ადამიანს.

მხოლოდ კომპლექსური მექანიზაცია თუ დააშორებდა თოხსა და სიმინდს ერთიმეორეს... და აბაშამაც არ დააყოვნა: — წელში რომ გაიმართა, მერე ესეც გაბედა: ჩამოაყალიბა სასინჯი კომპლექსური ბრიგადა, და სათავეში ჩაუყენა ფრიად გამოცდილი ტრაქტორისტი ბუხუტი ჩოჩია.

ეს იყო პირველი მაგალითი არა მარტო აბაშის რაიონში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში.

ბევრი რთული და სადავო საკითხი უნდა გადაეჭრა ამ ბრიგადას და თუმცა ისინი ჯერ კიდევ ბნელში ფათურობდნენ, უკან მაინც არ დაიხიეს, რადგან ბრიგადის უკან გურამ მგელაძე იდგა, — კაცი ვისთანაც „არ ვიცი“ და „არ შემიძლია“, არ გაგივიდოდა.

ეს იყო 1975 წელს.

ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს ამბავი. უთოხოდ აბაშის მიწაზე მარტო ბალახი მოდისო, ქირქილებდნენ ისინი და ჩოჩიას პირში ეუბნებოდნენ, — ამდენი შრომა და გარჯა წყალში ჩაგეყრება და ცარიელ-ტარიელი დარჩებითო. ერთხანობას მისი ბრიგადის წევრებიც კი შეფიქრიანდნენ, მაგრამ რაიკომის მდივანი დღეში ხუთჯერ ჩააკითხავდა ბრიგადას, — ახლა მსოფლიო რომ შემოიარო, ყანაში თოხს ვერ დაინახავ, რაღა მარტო კოლხეთში უნდა ტრიალებდეს ის...

ავი სიტყვა ენის წვერზე შეაჩერა, „ის დალოცვილი რკინა“ დასაწყევლად მაინც ვერ გაიმეტა...

უპირველეს ყოვლისა, ბრიგადას ისეთი ჯიშის სიმინდი უნდა შეერჩია, კომბაინი რომ მიუდგებოდა; მანქანას უჭირს შორი-შორ ჩატაროებული ყანის აღება. ბევრი ტარო დაეკარგება და ხელის წაშველება დასჭირდება. კომპლექსურ ბრიგადას კი ხვნიდან დაწყებული მოსავლის დაბინავებამდე, — არსად, არცერთ მოსამხარში ხელი არ უნდა გამოეღო. ყველაფერი მანქანას უნდა გაეკეთებინა. ამ მხრივ პირდაპირ გამოწერილი იყო იუგოსლავიური სიმინდი.

მისი ტარო კაცის მიბმული გეგონება, ისე თანაბრად არის ჩარიგებული ღეროზე. მთელი ყანა ერთსა და იმავე სიმაღლეზე ისხამს ნაყოფს...

იცოცხლე, ჩვენი აჯამეთური თეთრი სიმინდი, როგორც ადამიანის ნოყიერი სარჩო და საზრდო, მისი მჭადი და ღომი, სანატრელი იყოს ქვეყანაზე, — აჯამეთურ სიმინდს მსოფლიოში ტოლი არ მოეძებნება, მაგრამ სავალალო ეგ არის, — სხვა საკვების უქონლობის გამო, ეს ძვირფასი სიმინდი საქონლისა და შინაური ფრინველის გამოსაკვებად გვეხარჯება. ამავე დროს მსოფლიოს უკვე მოედო პირუტყვისა და ფრინველის დიდად ნოყიერი და მარგებელი საზრდო, — იუგოსლავიური ჰიბრიდი. ამ ჯიშის სიმინდმა დიდი ხვავი და ბარაქა იცის. ჩვენებური სიმინდი ჰექტარ მიწაზე მხოლოდ 30 ათასი ძირი დგას, იუგოსლავიური ჯიშისა კი — 60 ათასი ძირი და უფრო მეტიც...

ეს კიდევ არაფერი...

ივლის-აგვისტოს დღეებში კოლხეთის ჭალა-მინდვრებს ძლიერი ქარი დააცხრება ხოლმე და ჩვენებურ სიმინდს ფეხზე არ გააჩერებს, — ხოლო უფრო დაბალი და მკვრივი ტანის ჰიბრიდს ადვილად ვერ ერევა; ისე ვერ წააქცევს, რომ კომბაინს მისი აღება გაუჭირდეს.

ერთი სიკეთე კიდევ მოსდევს ამ სიმინდს. ტაროს რომ მოტეხენ, მისი ღერო-ფურცელი დიდხანს ინარჩუნებს სინედლეს და მისგან საუკეთესო სილოსი გამოდის — მეწველი და სახორცე საქონლის უმთავრესი საკვები.

ამასთან ერთად ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთი საქართველო მჭადისა და ღომის გარეშე ვერ იცხოვრებს. ამიტომ აჯამეთური თეთრი უნდა დაითესოს იმდენი, რომ მეგრელ კაცს სიმინდის ფქვილი საძებარი არ გაუხდეს. დანარჩენი საყანე მიწა კი სამრეწველო დანიშნულების ჰიბრიდებს უნდა დაეთმოს, თუ კი გვინდა, რომ ქვეყანას საქონლისა და ფრინველის ხორცი არ მოაკლდეს. ასე ფიქრობენ აბაშის ხელმძღვანელები და სიმინდის წარმოების ყველა საკითხს ამ ნაფიქრალს უქვემდებარებენ.

ერთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მითხრა: „ამჟამად მსოფლიოში სიმინდს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს, ვერანაირი სხვა მარცვლეული მცენარე მინდვრის დედოფალს მეტოქეობას ვერ გაუწევს, ის არის ყველაფერი, — ადამიანის საზრდოც და პირუტყვის საკვებიც. ამიტომ ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს და მისი გამდიდრება უნდა, სიმინდს ორივე კარი უნდა გაუღოსო...

**სიტყვა ჩამომართვა ბუხუტი ჩოჩიამ,**

„როდესაც რაიკომის მდივანმა ბრძანა, პირველი საცდელი კომპლექსური ბრიგადა შენ უნდა ჩაგაბაროთო, გამოტეხილი გითხრა, ძალიან შევშინდი!

პატარა ამბავი ხომ არ იყო!

ოთხი მექანიზატორი კაცისაგან შემდგარ ბრიგადას ორმოცდაათი ჰექტარი ყანა უნდა მოეყვანა! ორმოცდაათი ჰექტარი — თოხის დაუხმარებლად, ნამგლის დაუხმარებლად!

თოხი თუ არა, აბაშის ჭალებში ბალახს რა მოსპობს?!

აგერ ეს თეთრი წამალი, სიმაზინი, ყანაში მოასხურე და ერთი ღერი ბალახი ვერ გაიჭაჭანებსო, მითხრა მგელაძემ.

„კაი და კეთილი, ვთქვათ, მართლა მოსპო სარეველა ამ წამალმა! კი მარა, ყანას რომ გამოხშირვა უნდა, იმას რას უშველი! წამალი და მანქანა ვერ გიშველის, აქ კაცის ხელი უნდა მივიდეს! არ მინდა ბატონო, თქვენი სახელი და პატივი, მამუშავეთ ისე, როგორც დღემდე მიმუშავია!“

— ჩოჩია მართალი იყო — ჩაგვერია საუბარში მგელაძე. — არც ერთ მანქანას სიმინდის გამოხშირვა არ შეუძლია, მაგრამ მე ამ საქმეში ერთი კაცის იმედი მქონდა. გამოცდილმა ინჟინერ-მექანიკოსმა გურამ გუნიამ სათესი მანქანა გადააკეთა. მანქანის თვალი ისეააწყო რომ ერთი სიმინდის კაკალი თანაბარ მანძილზე დაშორებოდა მეორეს...

არა მარტო ჩოჩიას, — ეს ამბავი არ სჯეროდა არც მისი ბრიგადის წევრებს, არც ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის დირექტორს, არ სჯეროდა არავის...

— წამალი კი არა, ნავთი რომ გადაასხა და ცეცხლი წაუკიდო, რიონის ჭალებიდან შენ გადენი ამ გადარეულ ბალახს! — ამბობდნენ ისინი და ჩოჩიას წინასწარ ეუბნებოდნენ სამძიმარს, კი ვხედავთ, რა დღეში ხარ, მაგრამ რა გიშველოთო!

მერე ამ შიშს სხვა უფრო საძრახი ელდა წაება: ვიღაცეებმა ხალხი დააფეთეს, ყანა თუ არ გათოხნე, სიმინდს ვინ ეშმაკი მოგცემსო, ეს ხმა ადვილად მოიტაცა სოფელმა და... თოხი და მანქანა ერთმანეთს დაუპირისპირდა.

და როდესაც ჩოჩიას ბრიგადას ტობოყოს ჭალებში 50 ჰექტარი საყანე მიწა მიუზომეს და მინდვრის თავში ვეება დაფა დადგეს —

**კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადა:**

**ჩოჩია ბუხუტი — ხელმძღვანელი**

**გაბელაია ნოშრევანი**

**ჩოჩია თამაზი**

**კახიანი როლანდი**

ეჭვისაგან აფორიაქებულმა კაცმა პროტესტის ნიშნად ის დაფა ლაფში ამოსვარა.

ჯერ ხომ არა და არ უნდოდა ბუხუტი ჩოჩიას ამ ხათაბალაში გარევა, მაგრამ რაკიღა ხელი მოჰკიდა ბრიგადას, — პირჯვარი გადაიწერა და მორევში გადაეშვა: არაფერი არ დააკლო მიწას, რაც მიწის კარაბადინში ეწერა.

პირველი კომპლექსური ბრიგადის სულის ჩამდგმელი გურამ გუნია მეუბნებოდა:

— გამაკვირვა ამ ოთხმა კაცმა. დილიდან საღამომდე მანქანიდან არ ჩამოდიოდნენ და, თუ საჭეს ხელს გაუშვებდნენ, დასვენება და შაბაში არც მაშინ იცოდნენ — თესლის გადარჩევა, დაყალიბება, მანქანების მოწესრიგება....

მაგრამ ყველაზე მეტი ჯანი მაინც შალაფაბალახმა წაიღო. ამ ბალახს ძირ-ფესვი ქვესკნელში ჩააქვს და წამალი ველარ ერევა. განუწყვეტლივ წვიმდა. ბრიგადამ მაინც მოასწრო და მთელი ფართობი გასწმინდა. ერთი ღერი შალაფა არსად გაუშვა ცოცხალი. მისი დამუშავებული ყანა რომ ვნახე, თვალი ვერ მოვაშორე. პატარა კოლბოხი არსად ეგდო. ერთი ყალთაღიც კი არსად სჩანდა, რომ ნაწვიმარი წყალი ჩამდგარიყო. თავიდან ბოლომდე ერთპირად იყო მოსწორებული ეს ვეება ჭალა-მინდორი. დილის ჭირხლი რომ დაედება მიწას, ისე აჩნდა ახლად დაფარცხულ ნათესს სიმაზინის თეთრი წამალი.

მაგრამ შიშმა, იმ ვერანა შიშმა მაინც დაუკარგა ძილი და მოსვენება ბუხუტი ჩოჩიას. უთენია წამოვარდება და ყანაში გარბის... აგერ ერთი კვალი შეამოწმა, მეორე, — მესამე... წვერი ჰკრა თუ არა სიმინდმა, ან ბალახი ხომ არ დაიძრა სადმე.

სიცივეების გამო მარცვალს გაღივება დააგვიანდა, რამაც დიდად შეაშფოთა ეთერზეთების მეურნეობა—ქარხნის დირექტორი.

„ჩვენმა მიწამ უცხო თესლი არ მიიღო, ამოდენა ჭალა ტყუილად მოგვიცდა! სანამ გვიან არ არის, ნება მომეცი ამ ფართობზე ხელახლა დავთესო სიმინდი, რომ სოფლის თვალში პირი არ შევირცხვინოთო, — არწმუნებდა იგი რაიონის ხელმძღვანელებს.

„საცდელ საქმეს იმიტომ ეძახიან საცდელს, რომ ძირამდე ჩაჰყვე და განაჩენი მერე გამოუტანო“ — ამბობდა გუნია, მაგრამ დირექტორმა კეხი არ დაიდგა, და რაიონული საბჭოს აღმასკომის სესიაზე წარბშეუხრელად განაცხადა, თქვენმა კომპლექსურმა მექანიზაციამ მთელი ტობოყოს ჭალა-მინდორი მაზარალა და ამდენი თესლი, შრომა და წვალება ქარს გაატანაო...

მისმა სიტყვამ კინაღამ გუნება შეუცვალა ისედაც შეღონებულ მექანიზატორებს და, თუ არა გუნიას რწმენა და შეუპოვრობა, ვინ იცის, რა ზრუნვა და გულისყური დააკლდებოდა ტობოყოს საცდელ ნაკვეთს.

ამ ფორიაქს უკვალოდ არ ჩაუვლია. პირმოფენილ ხალხს სიტყვის მასალა მიეცა.

მაშინ რაიკომის ბიუროს წევრებმა, როგორც ყველა დიდი საკითხის გადაჭრის დროს იცოდნენ, ტობოყოს ყანები ფეხდაფეხ შემოიარეს, ყოველი კუთხე-კუნჭული დიათვალიერეს და შეამოწმეს — და იქვე გადასწყვიტეს: არავითარი გადათესვა, ჩოჩიას ბრიგადამ თავისი საქმე განაგრძოსო.

ნუ გამიწყრება ნურავინ, ვინც თავისი თავი ამ ნაწერში ამოიცნოს. არა შარის მოსაგებად, არა დასაყვედრებლად გავიხსენე ეს გუშინდელი ამბავი: მე მხოლოდ ერთი რამ მსურდა: დაენახა მკითხველს, თუ როგორ ილობებოდა ძველი თარგი ახალ ჩანაფიქრს,

გავიდა დღეები. სიმინდმა წელი წამოიღო და ბიბინი დაიწყო.

არც ქარ-წვიმა, არც გვალვა... ახლა ჩოჩიას მხოლოდ ბალახი აშინებდა. თუ ბალახმა იძალა და ისევ თოხი და მუშა-ხელი დაგჭირდა, დაემშვიდობე, ჩემო ბუხუტი, ყველა ჯილდო-პრემიას და საპატიო დაფას.

მაგრამ ისევ გავიდნენ დღეები და მინდვრის დედოფლის ამალა ჯერ არსად სჩანდა. არც მერე გამოჩენილა, როდესაც ყანამ ხაშარი დაისხა და ტარო გამოიტანა.

სიმინდის ძირებში ისეთი სისუფთავე იყო, ლომის დაგება არ შეგეცოდებოდა...

ახლა კი ამ ლამაზ სიტყვებს თავი დავანებოთ და სასწორი და საანგარიშო ჩოთქი დავიდოთ წინ.

1975 წელი:

ბუხუტი ჩოჩიას კომპლექსურ ბრიგადას სახელმწიფო გეგმა ავალებდა:

1. ტობოყოს ნაგდებ სახნავებზე 50 ჰექტარი ფართობი დაემუშავებინა.

2. ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი სიმინდი მოეყვანა.

3. ერთი ცენტნერი სიმინდი 9 მანეთი და 56 კაპიკი უნდა დაჯდომოდა.

რა მოხდა სინამდვილეში!

ჩოჩიას ბრიგადამ იმ პირველ საცდელ წელიწადს ჰექტარ მიწაზე საშუალოდ 42 ცენტნერი სიმინდი მოიწია და ერთი ცენტნერი მარცვლის წარმოება 6 მანეთი და 20 კაპიკი დაუჯდა. წმინდა მოგებამ შეადგინა 13.420 მანეთი.

ეს უკვე მანქანის გამარჯვება იყო, კომპლექსური ბრიგადის პირველი დიდი გამარჯვება, ოთხმა კაცმა 252 ტონა სიმინდი ისე მოიყვანა, რომ არსად და არაფერში **ხელით** შრომა და გარჯა არ დასჭირვებია.

ამავე დროს ამ ერთმა ბრიგადამ თოხისა და ყანის აღების მძიმე სამუშაოსაგან 46 კაცი გამოანთავისუფლა.

ორმოცდაექვსმა კოლმეურნემ სოფლის სხვა საჭირბოროტო საქმეს მოჰკიდა ხელი; თუ ამ ამბავს კაცი ღრმად ჩაუფიქრდება, არ შეიძლება დიდი იმედით არ შეხედო ხვალინდელ დღეს.

რა დიდი სარბიელი უნდა მისცეს აბაშას ამ ახალმა ნაბიჯმა!

კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა სიმინდის წარმოებაში — ეს არის ამჟამად გურამ მგელაძის ყველა დიდი ოცნება და საზრუნავი აბაშის სამეურნეო ცხოვრებაში. მისი გონების თვალი უკვე ხედავს, რამდენი მუშახელი შეემატება მეცხოველეობის ფერმებს, ბაღჩა-ბოსტნებს, გერანისა და რეჰანის ნარგავებს და კიდევ მრავალ სხვა საქმეს... ხანდახან ჩაიკეტება კაბინეტში და ქაღალდზე ჩუმად, თავისთვის, გადაჰყავს და გადმოჰყავს თოხის მონობისაგან განთავისუფლებული ხალხი ერთი უბნიდან მეორეზე...

ზოგჯერ თვითონ გაეცინება ხოლმე, მგონი ნამეტანი შევიჭერი და ლანდებს დავსდევო, მაგრამ რას იზამ, ჩემო გურამ, დიდმა ოცნებამ საზღვარი არ იცის!..

**(გაგრძელება იქნება).**



სურათზე: სიმინდის ყანა ტობოყოს ჭალში. ვ. [illegible] ფოტო („კომუნისტი“).

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 164, 165, 166, 167, 168.

**60 საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია — დიად ოქტომბერს**

# მომავლისაკენ...

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზურაბ ლეჟავა მუშაობს მონუმენტურ კედლის მხატვრობაზე — პანოზე — „მომავლისაკენ“. ეს დიდებული ტილო დაამშვენებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთ კედელს.

ნიჭიერი მხატვრის ახალი ტილო მრავალპლანიანია. სურათში შესანიშნავად არის გადმოცემული გმირთა სახეები, ახალი დიადი ეპოქის შემოქმედთა ფიზიკური და სულიერი სიძლიერე. ნაწარმოების კომპოზიციური და იდეური ცენტრია პროლეტარული რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ფიგურა.

ამ ნამუშევარს ავტორი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს უძღვნის.

• • •

სურათზე: ზურაბ ლეჟავა მუშაობს მონუმენტურ სურათზე „მომავლისაკენ“.

ა. საპოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



თუმცა ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პეტრო გრიგორუკმა თავისი თვალით იხილა ქართველი ვაჟკაცის გმირული ბრძოლა, მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, მაგრამ მის მეხსიერებაში ეს დღე არასოდეს ამოიშლება.

ეს მართლაც იშვიათი ამბავი იყო. მარტოდ-მარტო დარჩენილი ჯარისკაცი მედგრად უმკლავდებოდა გერმანელთა სადაზვერვო ჯგუფს. იგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ წინააღმდეგობას არ წყვეტდა, უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდა და ბოლოს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა...

1941 წლის აპრილში გურჯაანის რაიონის სოფელ შრომიდან სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 19 წლის მიხეილ ოღლიშვილი. იგი სამსახურს საზღვართან ასრულებდა. აქ მასთან ერთად რამდენიმე ქართველი იყო. ჭაბუკი სიცოცხლით, სიყვარულით აღსავსე რში ვმუშაობდით. უცებ რკინიგზის გადაღმა მხრიდან ავტომატების სროლის ხმა შემოგვესმა. ფაშისტების სადაზვერვო ჯგუფი საბჭოთა არმიელთა მცირერიცხოვან ჯგუფს ეომებოდა. ლიანდაგზე ჩამომდგარ ვაგონებს ამოფარებული საბჭოთა მეომრები გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ მრავალრიცხოვან მტერთან აბა რას გახდებოდნენ.

ბოლოს ერთი მეომარიღა დარჩა ცოცხალი. ის დაჭრილი იყო, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობდა. ეტყობოდა, მტერს მისი ცოცხლად ჩაგდება უნდოდა ხელში, მაგრამ ის ფაშისტებს ახლოს არ უშვებდა, ბოლოს ძალღონე მოიკრიფა, მტერს უკანასკნელი ხელყუმბარა ესროლა და თვითონ დიდის წვალებით რკინიგზის გადაღმა ცოცვით გადავიდა, მაგრამ მტერს მისი მოძრაობა არ გამოპარვია და ადგილზევე მოკლეს.

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის



# უცნობი გმირი

წერილებს უგზავნიდა დედ-მამას სოფელში და თავის საყვარელ დას, ნინო ვაჩნაძეს თბილისში.

უკანასკნელი წერილი ომის დაწყებამდე, 1941 წლის სამი ივნისით იყო დათარიღებული, შემდეგ კი მისი ბარათები ახლობლებს აღარ მიუღიათ.

და როცა ომის დამთავრების შემდეგ დამწუხრებულმა მამამ შეკითხვა გაგზავნა სამხედრო კომისარიატში, უპასუხეს, მიხეილის კვალი რვა ივლისამდეა ცნობილი, შემდეგ კი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო.

გადიოდა წლები. მიხეილისა არაფერი ისმოდა. და აი 1971 წლის ივლისში პოლონელი მოქალაქის პეტრო გრიგორუკის წერილი მოვიდა, სადაც იგი მოხუც ალექსანდრეს თავისი ვაჟის მიხეილ ოღლიშვილის დაღუპვის ამბავს ატყობინებდა. იგი იწერებოდა, მიხეილი პოლონეთში, ქალაქ ხაინოვკის ძმათა სასაფლაოზე განისვენებსო.

გრიგორუკი გრძნობდა, რომ მისი ასეთი მოულოდნელი შეტყობინება ოღლიშვილების ოჯახს გააკვირვებდა, ამიტომაც პოლონეთში, თავისთან იწვევდა მიხეილის ახლობლებს და სწერდა, დაწვრილებით ამბავს შეხვედრისას გაცნობებთო.

მიხეილის და-ძმა ნინო და ლავრენტი პოლონეთში გაემგზავრნენ. ისინი პეტრო გრიგორუკმა გულთბილად მიიღო, კარგად უმასპინძლა, შემდეგ დაწვრილებით უამბო მათი ძმის დაღუპვის ამბავი.

— ომის დაწყებამდე ჩვენი ოჯახი სოფელ მორეში ცხოვრობდა, — ყვებოდა პეტრო, — მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი, როცა ფაშისტები თავს დაგვესხნენ. ერთხელ მე და მამაჩემი, ჩვენს სოფლელებთან ერთად მინდო-

გერმანელები რომ წავიდნენ, ჩვენ მოკლულთან მივედით. ლამაზი ვაჟკაცი იყო, სრულიად ახალგაზრდა, შავგვრემან სახეზე თითქოს ღიმილი დასთამაშებდა, ყველანი დანანებით დავცქეროდით. მერე მამაჩემმა ჯიბეები გაუსინჯა, რომ გაგვეგო ვინ იყო ეს უსახელო გმირი. უბეში ოთხი გაუგზავნელი წერილი აღმოჩნდა. სამკუთხა ბარათზე რუსულად დაწერილი მისი გვარი და სახელი ამოვიკითხეთ — მიხეილ ოღლიშვილი. მამამ მითხრა, ანდერძად გიტოვებ, ეს სახელი და გვარი მტკიცედ დაიხსომე, და მე თუ ცოცხალი ვერ გადავრჩი, შენ შეატყობინე მის მშობლებს თუ რა გმირულად იბრძოდა მათი შვილი, და მისი საფლავის ადგილიც აცნობეო.

პეტრო არასოდეს ივიწყებდა მამის დანაბარებს, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ბევრი რამ გადახდა: დანგრეული ოჯახის აღდგენა, სწავლა, მუშაობა...

და აი, როგორც იქნა, 1971 წლის ზაფხულში სპეციალურად ჩავიდა მინსკში, იქ სამხედრო არქივში მოძებნა საბუთები მიხეილ ოღლიშვილისა, რომელიც სამხედრო კომისარიატიდან იყო გაწვეული და წერილი საქართველოში გამოგზავნა.

პეტრომ საქართველოდან ჩასული სტუმრები ხაინოვკის ძმათა სასაფლაოზე წაიყვანა, სადაც დაკრძალულნი არიან ამ ქალაქის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მებრძოლები. მათგან 250 დაღუპულის ვინაობა ცნობილია, დანარჩენი 1250-სა კი უცნობია. ამ უცნობ დაღუპულთა შორის ერთი საფლავი მიხეილ ოღლიშვილისა იყო.

**ლარისა ხუგულური.**

საქართველოს მთა-ბარში

## ტყიბულური მარჯვით — ინგლისში

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ტყიბულური ჩაი ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ბოლო წლებში ორპირისა და ტყიბულის ჩაის ფაბრიკებში დამზადებული მრავალი ტონა პროდუქცია გაიგზავნა ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკებში, აგრეთვე ირანსა და კუბაში.

წელს აქაური ჩაის მომხმარებელი გახდა ინგლისი. ორპირის ჩაის ფაბრიკამ ახალი მოსავლის 220 ტონა ჩაი უკვე გაგზავნა დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე.

ახლა ორპირელები პოლონეთისა და ბულგარეთის დაკვეთებზე მუშაობენ.

## ხელოვნების ოსტატები ენგურჰესში

**პირველი** საშეფო სპექტაკლი აჩვენა ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლებს რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა. ეს იყო რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი?“.

მშენებლებმა გულთბილად მიიღეს სპექტაკლი.

დამდგმელმა — თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ შეკრებილთ აცნობა, რომ რუსთავის თეატრის დასის გადაწყვეტილებით ამიერიდან ყველა პრემიერას უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს უჩვენებენ ხოლმე.

ენგურჰესის მშენებლებმა სტუმრებს გააცნეს ენგურის გიგანტური მშენებლობა, ესაუბრნენ თავიანთ მიღწევებზე, საქართველოს ენერგეტიკის მომავალზე.

(საქინფორმი).

## კინოპრემიერა სიმონეთში

**ხვალ,** 23 ივლისს, სიმონეთში, დავით კლდიაშვილის მშობლიურ სოფელში, მწერლის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება. აქ ჩამოვლენ სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან და სოფლებიდან. მოხსენებას „დავით კლდიაშვილი კინოში“ წაიკითხავს კინომცოდნე გ. დოლიძე. დასასრულ ნაჩვენები იქნება რეჟისორ ე. შენგელაიას ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

„კომუნისტის“ კორ.

## ცხელი კერძი სანგრევში

**ტყვარჩელი.** ძალზე კმაყოფილნი არიან მაღაროელები საზოგადოებრივი კვების ახალი ფორმით — ახლა მიწისქვეშ უშუალოდ შახტში, სანგრევში ჩასვლისას ისინი თერმოსით იღებენ ცხელ კერძებს.

ორი თავი კერძის ღირებულება 50 კაპიკს არ აღემატება.

• • •

სურათზე: მზარეულები ვენერა ჯონუა და ნაზი მეფორია მეშახტეებს ცხელი სადილით უმასპინძლდებიან.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# ოქროს პრიზები

## დამთავრდა მოსკოვის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალი

**21 ივლისს** მოსკოვში დამთავრდა მსოფლიოს პროგრესული კინოს მიღწევათა უდიდესი დათვალიერება.

ათასობით მაყურებელი მივიდა ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვაზე. პრეზიდიუმში იყვნენ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტისა და დირექციის წევრები, კონკურსების ჟიურის წევრები, საპატიო სტუმრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კონკურსების ჟიურის თავმჯდომარეებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ი. როსტოცკიმ, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ა. ი. მედვედკინმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა კ. კ. პარამონოვამ გამოაცხადეს გამარჯვებულნი და გადასცეს ფესტივალის ჯილდოები.

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების** საკონკურსო ჟიურიმ სამი ოქროს პრიზი მიანიჭა ფილმებს — „მეხუთე ბეჭედი“ (რეჟისორი ზოლტან ფაბრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა), „კვირის ბოლო“ (რეჟისორი ხუან ანტონიო ბარდემი, ესპანეთი), „მიმინო“ (რეჟისორი გიორგი დანელია, სსრ კავშირი).

**ქალის როლის** საუკეთესო შესრულებისათვის პრიზები მიენიჭათ მარი აპიკს (ფილმი „ჩიხი“, ირანი), მერსედეს კარერასს (ფილმი „შეშლილი ქალები“, არგენტინა). **მამაკაცის როლის** საუკეთესო შემსრულებლად ცნეს ამზე პელა (ფილმი „განაჩენი“, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა), რადკო პოლიჩი (ფილმი „იდეალისტი“, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა).

**მოკლემეტრაჟიანი ფილმების** საკონკურსო ჟიურიმ ორი ოქროს პრიზი მიანიჭა ფილმებს — „მაიერის მემკვიდრეობა“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და „ვისმარის ხეობა! (ესპანეთი)

**საბავშვო ფილმების** საკონკურსო ჟიურიმ ოქროს პრიზი მიანიჭა ავსტრალიურ ფილმს „ბიჭი და ოკეანე“ (რეჟისორი ჰენრი საფრანი).

სპორტი

ფეხბურთი

## ნაკრები ემზადება

**20 ივლისს** მოსკოვში გაიმართა უმაღლესი და პირველი ლიგების მწვრთნელთა თათბირი, რომელზეც სსრ კავშირის პირველი გუნდის მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა თქვა:

— ლაიფციგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან 28 ივლისის მატჩისათვის 15 ფეხბურთელი ემზადება. ესენი არიან — მეკარეები: დეგტიარიოვი („შახტიორი“), პილგუი (მოსკოვის „დინამო“); მცველები: პრიგოდა, ჟუპიკოვი (ორივე — „ტორპედო“), ხინჩაგაშვილი (თბილისის „დინამო“), ბუბნოვი და მახოვიკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო“), ნახევარმცველები: მინაევი და მაქსიმენკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო“), კონკოვი და ბესონოვი (ორივე — კიევის „დინამო“), ყიფიანი (თბილისის „დინამო“); თავდამსხმელები: ჩელებაძე (თბილისის „დინამო“), ბლოხინი (კიევის „დინამო“), ფიოდოროვი („პახტაკორი“).

წლეულს ჩვენი ნაკრები კიდევ ორ მატჩს გამართავს — 7 სექტემბერს ვოლგოგრადში პოლონეთის ნაკრებთან, ხოლო 5 ოქტომბერს — ჰოლანდიის გუნდთან მეტოქის მოედანზე. მომავალი 1978 წლის სეზონს ნაკრები 8 მარტს გახსნის მსოფლიოს ჩემპიონებთან — გფრ-ის გუნდთან შეხვედრით.

## ახალგაზრდულ ასპარეზობაზე

**მინსკში** მძლეოსანთა სასახლეში დამთავრდა ძიუდოისტთა შეჯიბრება. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ო. ზურაბიანისა და თ. ნამგალაურის ოქროს მედლებზე. გარდა ამისა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში შ. ხაბარელმა, ე. დამაღაევმა (95 კილოგრამი) და ტ. დონგუზაშვილმა (95 კილოგრამს ზემოთ).

**საერთოდ კი საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი მეორე საკავშირო ახალგაზრდულ ასპარეზობათა ჩემპიონი გახდა.**

დამთავრდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე გოგონებმა საერთო გუნდური მეექვსე ადგილი დაიკავეს.

## პრეტენდენტთა მატჩზე

**ევიანში** (საფრანგეთი) მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნახევარფინალური მატჩის მეშვიდე პარტიაში კორჩნოიმ მოუგო პოლუგაევსკის. ანგარიში გახდა 6:1 კორჩნოის სასარგებლოდ.

რედაქტორი
**დ. მეძღლიშვილი.**

ჩვენი ცნობარი

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



## აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1977-1978 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**1. წარმოებისაგან მოწყვეტით:**

**თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:**
ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი; დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები.

**გამოთვლითი ცენტრი:**
გამოთვლითი მათემატიკა; გამოთვლითი ტექნიკა.

**აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:**
რადიოფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკის ჩათვლით.

**გეოფიზიკის ინსტიტუტი:**
ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა.

**ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი:**
სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია.

**ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი:**
საინჟინრო გეოლოგია, გამყინვარებათმცოდნეობა და გრუნტმცოდნეობა.

**კიბერნეტიკის ინსტიტუტი:**
ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია; ბიოლოგიური და სამედიცინო კიბერნეტიკა (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

**მართვის სისტემების ინსტიტუტი:**
მათემატიკური კიბერნეტიკა.

**სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:**
სამშენებლო კონსტრუქციები.

**მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი:**
მანქანათმცოდნეობა და მანქანათა დეტალები; ავტომობილები და ტრაქტორები.

**პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი:**
ნავთობის ქიმია და ნავთობქიმიური სინთეზი.

**არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი.**
რადიაციული ქიმია; ელექტროქიმიური წარმოებები.

**სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი:**
მყარი ტანის ფიზიკა; ლითონმცოდნეობა და ლითონთა თერმული დამუშავება; ლითონთა წნევით დამუშავება.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:**
სსრ კავშირის ისტორია.

**დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:**
საბავშვო და პედაგოგიური ფსიქოლოგია.

**ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:**
სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, მართვის და დაგეგმვის ორგანიზაცია; ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია.

**შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:**
სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა.

**ენათმეცნიერების ინსტიტუტი:**
კავკასიური ენები (აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

**ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:**
ბიოფიზიკა; ბიოქიმია.

**ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი:**
პათოლოგიური ანატომია.

**2. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:**

**თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:**
დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები; ალგებრა და რიცხვთა თეორია.

**გამოთვლითი ცენტრი:**
გამოთვლითი მათემატიკა; გამოთვლითი ტექნიკა (საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და ტექნიკა-ეკონომიური გამოკვლევების საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

**შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტი:**
თეორიული და მათემატიკური ფიზიკა.

**აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:**
ასტროფიზიკა.

**გეოფიზიკის ინსტიტუტი:**
გეოფიზიკა.

**გეოლოგიური ინსტიტუტი:**
ვულკანოლოგია; პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია.

**ვახუშტის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი:**
გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისათვის); ხმელეთის ჰიდროლოგია.

**ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი:**
ჰიდროგეოლოგია.

**კიბერნეტიკის ინსტიტუტი:**
ფიზიკური ქიმია.

**მართვის სისტემების ინსტიტუტი:**
მათემატიკური კიბერნეტიკა; მართვისა და რეგულირების ელემენტები და ტექნიკური საშუალებანი.

**სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:**
მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა; სამშენებლო მასალები და ნაკეთობანი; ჰიდროტექნიკური ნაგებობანი; ნაგებობათა გამოცდა; სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შენობები და ნაგებობანი.

**გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი:**
სამთო მანქანები; ნახშირის, მადნეულის და არამადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია; უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა; სამრეწველო ტრანსპორტი.

**მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი:**
მანქანათმცოდნეობა და მანქანათა დეტალები; სითბური ძრავები.

**პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი:**
არაორგანული ქიმია; ორგანული ქიმია; ნავთობის ქიმია და ნავთობქიმიური სინთეზი.

**არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი:**
ელექტროქიმიური წარმოებები; არაორგანული ქიმია; არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია.

**ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი:**
ფარმაცევტული ქიმია.

**სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი:**
ნახევარგამტარების და დიელექტრიკების ფიზიკა; ტექნოლოგია და წნევით დამუშავებული მანქანები; საჩამომსხმელო წარმოება; მაღალი სიწმინდის ლითონებისა და პრეციზიულ შენადნობთა მეტალურგია; შავი ლითონების მეტალურგია.

**ბოტანიკის ინსტიტუტი:**
ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია.

**ზოოლოგიის ინსტიტუტი:**
ზოოლოგია.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:**
სსრ კავშირის ისტორია (სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის); არქეოლოგია (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

**ფილოსოფიის ინსტიტუტი:**
დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი; მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა.

**დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:**
ზოგადი ფსიქოლოგია.

**ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:**
ალბათობათა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; პოლიტიკური ეკონომია; სახალხო მეურნეობის ისტორია; სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, მართვისა და დაგეგმვის ორგანიზაცია (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის); ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი; საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი; მათემატიკური მეთოდების და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიკურ კვლევაში; ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია; სამოქალაქო სამართალი და პროცესი.

**გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი:**
მსოფლიო ისტორია.

**უცხო ენების კათედრა:** გერმანიკული ენები.

**ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:**
რადიობიოლოგია; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; პათოლოგიური ფიზიოლოგია; მიკრობიოლოგია.

**საბუთები მიიღება 30 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები ჩატარდება 10 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის კადრებისა და ასპირანტურის განყოფილებაში.**

**მისამართი: 380004, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 93-29-86.**

საქართველოს ვ. ი. ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

# პოლიტექნიკური ინსტიტუტი



## აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1977 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**წარმოებისაგან მოწყვეტით:**

1. მყარი ტანის ფიზიკა; 2. პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია; 3. ავტომობილები და ტრაქტორები; 4. ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია; 5. გამოთვლითი ტექნიკა; 6. ელექტროქიმიური საწარმოები; 7. სამშენებლო კონსტრუქციები; 8. წყალმომარაგება და კანალიზაცია; 9. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურა.

**წარმოებისაგან მოუწყვეტლად:**

1. საინჟინრო გეოლოგია, გრუნტმცოდნეობა და მზრალობათმცოდნეობა; 2. ფიზიკური ქიმია; 3. პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია; 4. მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები; 5. ავტომობილები და ტრაქტორები; 6. სამთო მანქანები; 7. ქსელები, კავშირის არხები და ინფორმაციის განაწილება; 8. ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია; 9. გამოთვლითი ტექნიკა; 10. ლითონმცოდნეობა და ლითონთა თერმული დამუშავება; 11. ლითონის წნევით დამუშავება; 12. ელექტროქიმიური საწარმოები; 13. რკინიგზების ძიება და პროექტირება; 14. საავტომობილო გზები; 15. სამშენებლო კონსტრუქციები; 16. ფუძე, საძირკვლები და მიწისქვეშა ნაგებობები; 17. წყალმომარაგება და კანალიზაცია; 18. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა; 19. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა; 20. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურა; 21. არაორგანული ქიმია.

**განცხადება ქვემოთ აღნიშნული საბუთების დართვით (1 ეგზ.) შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე:** დიპლომის ასლი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; 2 ფოტოსურათი, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დაბეჭდილი შრომები ან რეფერატი და ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაცია მიმდინარე წლის კურსდამთავრებულისათვის.

**შემსვლელები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.**

**განცხადებები მიიღება 1977 წ. 19 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები 1 ნოემბრიდან.**

**რექტორატი.**

# ცენტროსოიუზის მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი

## აცხადებს სტუდენტთა მიღებას თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველ კურსზე 1977-1978 სასწავლო წლისათვის.

**ინსტიტუტი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკებს შემდეგი სპეციალობებით:**

1. სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია; 2. სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია; 3. საბუღალტრო აღრიცხვა; 4. ვაჭრობის ეკონომიკა.

სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია.

ინსტიტუტში მიღება წარმოებს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის გათვალისწინებული პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

**ა) საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე:** 1. მათემატიკა (ზეპირი); 2. გეოგრაფია (ზეპირი); 3. ქიმია (ზეპირი); 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

**ბ) საბუღალტრო აღრიცხვა და ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობებზე:** 1. მათემატიკა (ზეპირი); 2. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი); 3. გეოგრაფია (ზეპირი); 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს (ვერცხლის) მედლით ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი — წარჩინებით, მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ საგანში: საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე — ქიმიაში (ზეპირი), საბუღალტრო აღრიცხვისა და ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობებზე — მათემატიკაში (ზეპირი). თუ აღნიშნულ საგნებში ინსტიტუტში შემსვლელმა მიიღო შეფასება „ხუთი“, იგი დანარჩენ საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან თავისუფლდება.

**განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 21 აგვისტოდან, ჩარიცხვა — 20 სექტემბრამდე.**

ერთიანი ფორმის განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების მოწმობის დედანი (ატესტატი), დიპლომი — ნიშნების დანართით, 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად — ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციის მდივნისა და ადგილკომის თავმჯდომარის ხელმოწერით, 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა 286), 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან — ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული, დამოწმების თარიღის აღნიშვნით (ორ ცალად), 5. ექვსი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ, (ზომა — 3X4).

ინსტიტუტში შემსვლელმა ყველა დოკუმენტი უნდა შეადგინოს რუსულ ენაზე და პირადობის დამამტკიცებელ საბუთთან ერთად პირადად წარმოადგინოს.

**განცხადებები მიიღება ყოველდღე დილის 10 საათიდან 16 საათამდე (გარდა კვირა დღისა). მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპ. № 40.**

**დამატებითი ცნობებისა და განცხადების ბლანკის მისაღებად მიმართეთ თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანატს შემდეგი მისამართით: თბილისი — 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 40. ტელეფონი: 37-21-02, 37-18-68, 37-16-73.**

ტელევიზია

## 22 ივლისი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ნარკვევი „ზაფხულის დღიურები“, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — „სიმღერის სიყვარულით“ — ინოლა გურგულია (განმეორებით), 18.50 — პარტიული ცხოვრება „პარტიული რეკომენდაცია“, 19.10 — „პოლონეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კინონარკვევი — მშობლების პასუხისმგებლობა ბავშვების ჯანმრთელობაზე, 20.45 — „განვიხილავთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს“ (ფერადი. მოსკოვიდან), 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია“ — „1957 წელი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოლექტორიუმი“.

**მეორე პროგრამით**

19.05 — განცხადებები, 19.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „ანგელოზების ქუჩა“ (პირველი ნაწილი).

რადიო

## 23 ივლისი

**პირველი პროგრამით**

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.20 — ძველი საორკესტრო პიესები, 12.00 — რადიონარკვევი „მისი გზა“, 12.15 — „თქვენთვის, ესტრადის მოყვარულებო!“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 17.15 — ბავშვებისათვის. კონცერტი საუბარი „დიმიტრი არაყიშვილი“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — უკრავს ლ. ისაკაძე, 19.00 — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი“, 20.30 — ს. რახმანინოვი პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი)-„ზარია“ (ვოროშილოვგრადი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი, 21.45 — „საღამო მშვიდობისა!“, 23.30 — „რ. ლაღიძე. მუსიკა კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“.

**კომუნისტი** ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03. 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-67, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 09958. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14